USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

HOMEOWNERS' ASSOCIATIONS: ESTABLISHING & MANAGEMENT GUIDEBOOK

Georgia New Economic Opportunities Initiative

ეს ნაშრომი ლიცენზირებულია არაკომერციული საერთაშორისო ლიცენზიის Creative Commons Attribution-NonCommercial 4.0 International License მიერ. ლიცენზიის ასლი მოიპოვება ამ ვებ- გვერდზე https://creativecommons.org/licenses/by-nc/4.0/

ამ ლიცენზიით საშუალება გეძლევათ:

- ნაშრომის გავრცელების ნებისმიერი ფორმით ან საშუალებით
- ნაშრომის ადაპტირების და გარდაქმნის

პირობები:

- ატრიბუცია: ამ ლიცენზიის გამოყენების შემთხვევაში ლიცენზიის ელექტრონული გვერდი უნდა იყოს მითითებული. ამ ნაშრომის გავრცელებით შთაბეჭდილება არ უნდა შეიქმნას რომ ლიცენზორი მხარს უჭერს თქვენს მიერ მასალის გამოყენებას.
- არაკომერციული ხასიათი. ამ მასალის კომერციული მიზნებისათვის გამოყენება დაუშვებელია.
- დამატებითი შეზღუდვები. მასალების ლიცენზიით დაშვებული გამოყენების კანონიერად შეზღუდვა დაუშვებელია.

უწყება:

- ლიცენზორის შეზღუდვები არ ვრცელდება ამ მასალის საჯაროდ ხელმისაწვდომ ელემენტებზე ან/და მასალის გამოყენებისათვის გამონაკლისის არსებობის შემთხვევაში.
- გარანტია არ აძლევა. ამ ლიცენზიამ შეიძლება არ მოგცეთ ყველა საჭირო ნებართვა მასალის მოხმარებისთვის. მაგალითად, სხვა უფლებებმა როგორიცაა საჯაროობა, კონფიდენციალურობა ან მორალური უფლებები, შეიძლება შეზღუდოს ამ მასალის გამოყენება.

This work is licensed under the Creative Commons Attribution-NonCommercial 4.0 International License. To view a copy of this license, visit https://creativecommons.org/licenses/by-nc/4.0/

Under this License

You are free to:

- Share: copy and redistribute the material in any medium or format
- Adapt: remix, transform, and build upon the material

Under the following terms:

- Attribution: You must give appropriate credit, provide a link to the license, and indicate if changes were made. You may do so in any reasonable manner, but not in any way that suggests the licensor endorses you or your use.
- Non-Commercial: You may not use the material for commercial purposes.
- No additional restrictions: You may not apply legal terms or technological measures that legally restrict others from doing anything the license permits.

Notices:

- You do not have to comply with the license for elements of the material in the public domain or where your use is permitted by an applicable exception or limitation.
- No warranties are given. The license may not give you all of the permissions necessary for your intended use. For example, other rights such as publicity, privacy, or moral rights may limit how you use the material.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები: დაფუძნება და მართვა

სახელმძღვანელო

შემუშავებულია აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივის მეშვეობით

თბილისი, 2013

[წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს ეტაპობრივად განსახორციელებელი მითითებების გაწევას იმ ბინათმესაკუთრეებისათვის, რომლებიც გეგმავენ საქართველოში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბებას. ამას გარდა, ეს სახელმძღვანელო გამოსადეგი იქნება მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისათვის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ზედამხედველობის და მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებისათვის დახმარების გაწევაზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბების კუთხით. ამ მითითებებით შეიძლება, ასევე, იხელმძღვანელონ მომიჯნავე ნაკვეთზე მდებარე რამდენიმე სახლის მცხოვრებლებმა შესაბამისი ამხანაგობების შესაქმნელად, რომლის ცნება საქართველოს კანონმდებლობაში ჯერ არ არის განსაზღვრული, და რომელიც მოემსახურება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მსგავს მიზანს, რაც ერთიან საკუთრებაში არსებული ქონების მართვას წარმოადგენს]

წინამდებარე პუბლიკაციის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ გაწეული დახმარების შედეგად. პუბლიკაცია შემუშავებულია USAID-ის ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების (NEO) ინიციატივის მიერ და მისი შეხედულებების გათვალისწინებით. პუბლიკაცია არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოსაზრებებს.

სარჩევი

შესავალი **4**

თავი 1 ..... **6**

ბმა-ის დასაფუძნებლად და მისი რეგისტრაციისათვის საჭირო ქმედებები **6**

პირველი საერთო კრების მომზადება 7

პირველი გენერალური ასამბლეის მოწვევა 14

ბმა-ს რეგისტრაცია 20

თავი 2 ..... **22**

ბმა-ს მართვა და ფუნქციონირება **22**

გენერალური ასამბელის კრებები 23

მართვასა და საქმიანობასთან დაკავშირებული დავალებები 28

სამოქმედო გეგმა 30

ბიუჯეტი 38

დაფინანსება 42

კომუნიკაცია 45

ანგარიშვალდებულება და გამჭირვალობა 47

ქონების გამოყენება, განვითარება და განკარგვა 48

საერთო ქონების მოვლა-პატრონობა 51

დასკვნითი მესიჯი 54

დანართები **55**

დანართი 1: საჯარო შეტყობინებების და საინფორმაციო ბროშურების მაგალითები 55

დანართი 2: დებულების მოდელი და ნიმუში 56

დანართი 3: მოწვევის წერილის, დღის წესრიგის და მიღება-ჩაბარების აქტის მაგალითები 56

დანართი 4: თავმჯდომარის ფუნქციების აღწერის მოდელი და ყოველდღიური საქმიანობის აღწერილობის ნიმუში..... 59

დანართი 5: ოქმის მოდელი და ნიმუში 61

დანართი 6: სამოქმედო გეგმის მოდელი და ნიმუში 67

დანართი 7: სლოვაკეთის მაგალითი ბმა-ს პროექტებთან დაკავშირებით..... 69

დანართი 8: მიწის ნაკვეთის საზღვრები/გამიჯვნა 72

შესავალი

1990-იან წლებში დაწყებულმა ბინების და სახლების ფართომაშტაბიანმა პრივატიზაციამ საქართველოს მოქალაქეებს პირადი სახლების მფლობელობის დიდი შესაძლებლობები შეუქმნა. ამასთან, სახლების მეპატრონეებს უზარმაზარი პასუხისმგებლობა დაეკისრათ თავიანთი სახლების მართვის და მოვლა-პატრონობის თვალსაზრისით. უმეტეს შემთხვევებში, სახლების მესაკუთრეებისათვის კარგად არის ცნობილი უფლებები კერძო საკუთრებაში არსებულ ქონებასთან დაკავშირებით, მაგრამ ისინი არ არიან სათანადოდ ინფორმირებული თავიათ მოვალეობებზე საერთო საკუთრებაში არსებული ქონების მართვასთან და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით. სათანადოდ მართული და მოვლილი საერთო ქონება დადებითად მოქმედებს ბინების, მრავალბინიანი სახლების, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და უბნების საბაზრო ღირებულებაზე, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ზემოაღნიშნულში მცხროვრები მოსახლეობის კეთილდღეობას.

საქართველოს კანონმდებლობა პრივატიზებული ბინების მესაკუთრეებს პასუხისმგებლობას აკისრებს, მრავალბინიან სახლებში შექმნან ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან საერთო ქონების მართვაზე, განვითარებაზე და ექსპლუატაციაზე იმის უზრუნველყოფის მიზნით, რომ შენობა იყოს უსაფრთხო, სათანადოდ მოვლილი და საცხოვრებლად გამოსადეგი. საქართველოში მრვალბინიანი სახლების და მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე განლაგებული მრავალბინიანი სახლების მდგომარეობის გაუარესობის აცილების ყველაზე ეფექტურ გზას ბინათმესაკუთრეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად აქტიური ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების (ბმა-ების) ჩამოყალიბება წარმოადგენს.

ეს სახელმძღვანელო შემუშავებულია ბინათმესაკუთრეებისათვის ბმა-ების შესაქმნელად და მათი მართვისათვის ეტაპობრივი მითითებების გაწევის მიზნით. ამას გარდა, ეს სახელმძღვანელო გამოსადეგი იქბება მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისათვის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ზედამხედველობის და მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისათვის დახმარების გაწევაზე

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბების კუთხით.ამ მითითებებით შეიძლება, ასევე, იხელმძღანელონ მომიჯნავე ნაკვეთზე მდებარე რამდენიმე სახლის მაცხოვრებლებმა შესაბამისი ამხანაგობების შესაქმნელად, რომლის ცნება საქართველოს კანონმდებლობაში ჯერ არ არის განსაზღვრული, და რომელიც მოემსახურება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მსგავს მიზანს, რაც ერთიან საკუთრებაში არსებული ქონების მართვას წარმოადგენს.

წინამდებარე სახელმძღვანელო სამი ნაწილისგან შედგება:

- ⇨ ბმა-ის შესაქმნელად და მისი რეგისტრაციისთვის საჭირო ზომები;
- ⇨ ბმა-ის მართვასთან დაკავშირებული მითითებები; და
- ⇨ სამაგალითო შემთხვევების განხილვა და დოკუმენტების ნიმუშები.

ძალიან ხშირად, იმ პირებისათვის, რომლებსაც მართვის მოვალეობის არც ისე დიდი გამოცდილება გააჩნიათ,რთულია ბმა-ის დადებითი მხარეების და სარგებელის გათვიცნობიერება. ამხანაგობა ითვალისწინებს მეზობლებთან მჭიდრო კომუნიკაციას და თანამშრომლობას ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით. სახელმძღვანელოს მე-8 - მე-18 დანართებში წარმოდგენილია ეფექტურად ფუნქციონირებადი ბმა-ების მაგალითები საქართველოს და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებიდან.

ბმა-ის ჩამოყალიბების პროცესში ხელმძღვანელობისათვის დახმარების გაწევის მიზნით, სახლემძღვანელოში შეგიძლიათ იხილოთ სხვადასხვა დოკუმენტების სამაგალითო ნიმუშები ბმა-ის სამოქმედო გეგმის, წესდების, საერთო კრების ოქმების და საჯარო შეტყობინებების შემუშავებისათვის. ზემოაღნიშნულ ნიმუშებს თან ახლავს მაგალილები, რომლებიც დაგეხმარებათ მბა-ის დაფუძნების პროცესის დაწყებისათვის.

წინამდებარე სახელმძღვანელოს შემუშავება შესაძლებელი გახდა აშშ საერთაშორიშო განვითარების სააგენტოს ფინანსური დახმარებით, რომელსაც სააგენტო ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივას უწევს. იმის მიუხედავად, რომ ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივის პროგრამის ერთერთ ამოცანას აშშ მთავრობის დახმარებით რეაბილიტირებული იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი სახლების მდგრადობის უზრუნველყოფა წარმოადგენს, ეს სახელმძღვანელო არ განასხვავებს იძულებით გადაადგილებული პირების სახლებს დანარჩენი მოსახლეობის სახლებისგან; სახელმძღვანელობაში მოცემული მითითებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ტიპის საცხოვრებელ სტრუქტურასთან მიმართებაში, რეზიდენტების პირადი რეგისტრაციის სტატუსის

მიუხედავად. განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ იმ ჯგუფს, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ სახელმძღვანელოს მომზადებაში, კერძოდ, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების სფეროში 20წლიანი გამოცდილების მქონე, საერთაშორისოდ აღიარებულ ექსპერტს სლოვაკეთიდან, ქ-ნ ჯაროსლავა ზაპლეტალოვას; საქველმოქმედო ჰუმანიტარული ფონდი „აფხაზეთის“ წარმომადგენელს, ქ-ნ ნანა შარიას, რომელმაც საქართველოში ბმა-ების პრაქტიკული გამოცდილება გაგვიზიარა; ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივის დირექტორს იძულებით გადადგილებულ პირთა საბინანო საკითხებში, ქ-ნ მარიკა შიოშვილს და ჩიკაგოს უნივერსიტეტის NORC-ის უფროს მკვლევარს, ბ-ნ რენე ხელდელს, რომლებმაც ხელმძღვანელობა და ორგანიზება გაუწიეს ამ პროცესს; და საქართველოს პარლამენტის სამდივნოს უფროსს, ბ-ნ ბექაუტაძეს, რომელმაც დახმარება და საკონსულტაციო რჩევა გაგვიწია ამ სფეროში მუშაობის თავის მრავალწლიან გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელიც საქართველოს მთავრობისათვის ბმა-ის იურიდიული ჩარჩოს განვითარებასთან დაკავშირებით დახმარებასაც გულისხმობს.

თავი 1

ბმა-ის დასაფუძნებლად და მისი რეგისტრაციისათვის საჭირო ქმედებები

სახელმძღვანელოს ამ ნაწილში წარმოდგენილია ეტაპობრივად განსახორციელებელი მითითებები საქართველოში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის (ბმა) წარმატებულად დაფუძნების მიზნით. ცხრილში მოცემულია ძირითადი ქმედებები, შემდგომ კი, თითოეული ქმედება დეტალურად არის განმარტებული ქვემოთ მოცემულ ნაწილებში.

ქმედებები	აღწერილობა
1	პირველი საერთო კრების მომზადება - დაგეგმარების კომიტეტის ჩამოყალიბება - ადგილობრივი ბინათმესაკუთრეების ჩართულობა - ბმა-ის წესდების შემუშავება - ბმა-ის თავმჯდომარის და გამგეობის დანიშვნა - საჭირო ლოგისტიკური ღონისძიებების მომზადება

2	ბმა-ის წესდების შემუშავება
3	პირველი საერთო კრების ჩატარება - პირველი საერთო კრებისათვის თავმჯდომარის და გამგეობის არჩევა - ბმა-ის თავმჯდომარის და გამგეობის არჩევა - ბმა-ის წესდების მიღება - საერთო კრების ოქმის მომზადება და დამტკიცება
4	ბმა-ის რეგისტრაცია

პირველი საერთო კრების მომზადება

საქართველოში ბინათმესაკუთრეებისათვის ბმა-ის დაფუძნება ერთერთ ყველაზე ეფექტურ იურიდიულ მექანიზმს წარმოადგენს, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემს, გააუმჯობესონ თავიანთი საცხოვრებელი პირობები და ეფექტურად მართონ და მოვლა-პარტონობა გაუწიონ ერთიან მფლობელობაში არსებულ ქონებას (რომელსაც ხშირად საერთო ქონებას უწოდებენ). გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით, ბინათმესაკუთრეთა საერთო კრება უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს.

პირველი საერთო კრება ყველაზე მნიშვნელოვანია სხვა დანარჩენ კრებებთან შედარებით, ვინაიდან იგი ბმა-ის ჩამოყალიბების საფუძველს წარმოადგენს. პირველი საერთო კრების ძირითადი ამოცანებია თანხმობა ბმა-ის ჩამოყალიბების შესახებ, წესდების მიღება,თავმჯდომარის და გამგეობის წევრების არჩევა და ბმა-ის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნების შესრულება. ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად, აუცილებელია, რომ საერთო კრებაზე ბინათმესაკუთრეები მოვიდნენ ადეკვატურად მომზადებულნი, რათა აქტიურად შეძლონ მონაწილეობის და გადაწყვეტილებების მიღება პირველი საერთო კრების ჩატარების დროს.

ქვემოთ იხილეთ ადეკვატური მომზადების განმარტების რამდენიმე მაგალითი:

- **ინფორმირებული ბინათმესაკუთრეები და რეზიდენტები**. ბინათმესაკუთრეებმა და რეზიდენტებმა უნდა იცოდნენ თუ რას გულისხმობს ბმა-ის კონცეფცია და თუ რა არის მათი როგორც ჩამოყალიბებული ბმა-ის წევრის მოვალეობები პირველი საერთო კრების ჩარარებამდე.

- **თავმჯდომარე.**ბინათმესაკუთრეები ინფორმირებული უნდა იყვნენ იმის თაობაზე, რომ პირველ საერთო კრებაზე მოხდება თავმჯდომარის არჩევა რამდენიმე დასახელებული კანდიდატისგან. პირველ საერთო კრებაზე, კანდიდატებს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, წარმოადგინონ თავიანთი ხედვა ბმა-ის განვითარების და ფუნქციონირების შესახებ. იდეალურ პირობებში, ბინათმესაკუთრეებს არჩევანის გაკეთების უფლება უნდა ქონდეთ რამდენიმე კანდიდატს შორის კენჭისყრის ჩატარების მეშვეობით, რადგან კონკურენცია, ჩვეულებრივ, დადებით გავლენას ახდენს ბმა-ის მომავალზე.

- **გამგეობის წევრობის კანდიდატები**. ბინათმესაკუთრეებმა უნდა დაასახელონ და არჩიონ საკონსულტაციო საბჭოს წევრები, რომლებიც დაეხმარებიან და კონსულტაციებს გაუწევენ თავმჯდომარეს მისი მოვალეობის შესრულების პერიოდში; გამგეობის წევრობის კანდიდატებისათვის პრეზენტაციების გაკეთება არ არის საჭირო, მაგრამ აუცილებელია ბინამესაკუთრეებისათვის კანდიდატების გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რათა მათ შეძლონ გააზრებული გადაწყვეტილებების მიღება კენჭისყრის ჩატარების დროს. გამგეობის წევრების მაგალითები: მდივანი, ხაზინდარი, მომსახურების მენეჯერი, მშენებლობის და ტექნიკური მომსახურების კონსულტანტი და კომუნიკაციის კონსულტანტი.

- **ბმა-ის წესდება**. ბინათმესაკუთრეები ინფორმირებული უნდა იყვნენ იმის შესახებ, რომ მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ წერილობითი წესდების შემუშევაში, რომელშიც განისაზღვრება ბმა-ის საქმიანობა და თავმჯდომარის უფლებამოსილება გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით. ბმა-ის კომპეტენცია და უფლებამოსილება შეიძლება განიმარტოს პირველი საერთო კრების ოქმში. ამხანაგობის წევრებმა შეიძლება შეიმუშავონ ახალი წესდება ან გამოიყენონ ბინათმესაკუთრეთა შესახებ საქართველოს კანონის თავი V-ის დებულებები. იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგობა გადაწყვეტს თავი V-ის დებულებების გამოყენებას, მიზანშეწონილია მათი ადაპტირება ამხანაგობის მოთხოვნებზე.

- **საერთო კრების ოქმი**. ბინათმესაკუთრეები პირველ საერთო კრებაზე მზად უნდა იყვნენ ოქმის დასაწერად. პირველი საერთო კრების ოქმი ძალზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რადგანაც იგი ბმა-ის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს და ადასტურებს ამხანაგობის წევრთა საჭირო რაოდენობის თანხმობას ბმა-ის დაფუძნების და თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

ქვემოთ წარმოდგენილი ნაწილში განიხილება პირველი საერთო კრების მომზადების პროცესი.

ეტაპი 1: დაგეგმარების კომიტეტის ჩამოყალიბება

ბმა-ის ჩამოყალიბება ბინათმესაკუთრეებისგან მოითხოვს დეტალებზე დიდ ყურადღების მიქცევას და სათანადო კოორდინაციას. ბმა-ის ჩამოყალიბების პროცესის დისკრედიტაცია შეიძლება მოხდეს, თუ ვერ მოხერხდა ბინათმესაკუთრეების დარწმუნება ბმა-ის შექმნის მნიშვნელოვაში და პირველი საერთო კრებისათვის ადეკვატურად მომზედაბაში, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, თუ ბინამესაკუთრეები არ დაესწრებიან საერთო კრებას და მონაწილეობას არ მიიღებენ თემის/სამეზობლოს განვითარებაში. ადგილობრივმა მოსახლეობამ უნდა ჩამოაყალიბოს დაგეგმარების ნებაყოფლობითი კომიტეტი, რათა ადგილობრივ მაცხოვრებლებს გააცნონ ბმა-ის შექმნის სარგებელი და სამართლებრივი მოთხოვნები, მოამზადონ საჭირო დოკუმენტები და გაატარონ სხვა დამატებითი ღონისძიებები პირველი საერთო კრების ჩატარებისათვის. ბინათმესაკუთრეებთან გასაუბრების დროს კომიტეტის წევრებმა მათ უნდა განუმარტონ, რომ პრივატიზებული ბინების და სახცოვრებელი სახლების მესაკუთრეებს კანონით ეკისრებათ ბმა-ის ჩამოყალიბების ვალდებულება. თუ ისინი ამას არ გააკეთებენ, მუნიციპალიტეტი დანიშნავს თავმჯდომარეს, რომელიც მათ სახელით მიიღებს გადაწყვეტილებებს.

დაგეგმარების კომიტეტის შემადგენლობას, ჩვეულებრივ, 5-6 აქტიური მეზობელი შეადგენს, რომლებსაც უნარი შესწევთ უხელმძღვანელონ ბმა-ის ჩამოყალიბების პროცესს. დაგეგმრების კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ბინამთმესაკუთრეთა შორის კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბებას და შენარჩუნებას, განსაკუთრებით პირველი საერთო კრების ჩატარებამდე, და აუხსნას მათ ბმა-ის დაფუძნების მიზეზები, გაითვალისწინოს მათი შენიშვნები წესდებასთან დაკავშირეთ, განიხილოს ეს შენიშვნები თავმჯდომარეობის

პრივატიზებული ბინების მესაკუთრეებს კანონით მოეთხოვებათ ბმა-ის ჩამოყალიბება. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამას არ გააკეთებენ, მუნიციპალიტეტებს უფლება აქვთ დანიშნონ თავმჯდომარე, რომელიც უფლებამისილი იქნება მიიღოს გადაწყვეტილები მათი სახელით. აქედან გამომდინარე, მრავალსართულიანი სახლის მესაკუთრეების ინტერესებშია ბმა-ის ჩამოყალიბება და თავიათ ქონებაზე კონტროლის განხორციელება.

კანდიდატებთან და უპასუხოს ბინათმესაკუთრეების შეკითხვებს. ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს სხვადასხვა ბინათმესაკუთრეებს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რომელიც ეფუძნება მესაკუთრეობის ახალ უფლებებს, რომლებიც მათ გააჩნიათ, და რომლებზეც მათ ეკისრება პასუხისმგებლობა. ეს ეხება როგორც ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ ქონებას (მათი ბინები), ასევე საერთო ქონებას (მრავალბინიანი სახლები და მათთან დაკავშირებული ქონება).

ეტაპი 2: ადგილობრივი ბინათმესაკუთრეების ჩართულობა

პირველი საერთო კრების ჩატარებამდე, მიზანშეწონილია ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება ბმა-ის ჩამოყალიბების დადებით მხარეების და რეგისტირებული ბმა-ის წევრების მოვალეობების შესახებ. ეს რეზიდენტების უკეთ ინფორმირების საშუალებას მოგვცემს და მათ საერთო კრებაში და კენჭისყრის ჩატარების პროცესში უფრო აქტიურ მონაწილეობას უზრუნველყობს. ქვემოთ იხილეთ რეზიდენტების მოტივირების რამდენიმე მაგალითი საერთო კრების ჩატარების თვალსაზრისით:

- **საჯარო შეტყობინებები**. მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის ინფორმირების ეფექტურ გზას შეტყობინება წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ამ შეტყობინებების გასაგებად და მოკლედ შედგენა და თვალსაჩინო ადგილას განთავსება ადგილობრივი მაცხოვრებლების ყურადღების მიქცევის მიზნით. შეტყობინებების ფერად ქაღალდზე დაბეჭდა დაგეხმარებათ უფრო მეტი ყურადღების მიპყრობაში. შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: დღის წესრიგი, კრების ჩატარების ადგილი და დრო, შეხვედრის ადგილი.

- **საინფორმაციო ბროშურები.** რეზიდენტების ინფორმირების ეფექტურ გზას სათანადოდ შედგენილი ბროშურები წარმოადგენს, რომელშიც განიხილება ბმა-ის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი უპირატესობები, მაცხოვრებლების მოვალეობები და საინფორმაციო შეხვედრებზე განსახილველი მნიშვნელოვანი საკითხები.

- **კარდაკარ.** ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის ინფორმაციის მიწოდების და მათი ჩართულობის უზრუნველყოფის სხვა ეფექტურ მეთოდს წარმოადგენს ოჯახების მონახულება და ბმა-ის შესახებ გასაუბრება. ეს მეთოდი ბინათმესაკუთრეთა დარწმუნების საშუალებას იძლევა ბმა-ის

ჩამოყალიბების სარგებლობასთან და მოვალეობებთან დაკავშირებით. შეხვედრების დროს პასუხი შეიძლება გაეცეს მათ ნებისმიერ კითხვას.

- **არაფორმალური შეკრებები.** ადგილობრივ მაცხოვრებლებთან არაფორმალური შეხვედრების ჩატარება, ასევე, ძალზე ეფექტურია. ასეთი შეხვედრები აზრთა გაცვლის, საერთო პრობლემების და ბმა-ის ეფექტური ფუნქციონირების შესახებ იდეების განხილვის საშუალებს იძლევა.

- **მუნიციპალიტეტების პროგრამები.**ინფორმაციის გავრცელება ბმა-ის შექმნისათვის მუნიციპალიტეტების და სხვა ორგანიზაციების მიერ ფულადი სახსრების გამოყობის შესახებ ხელს შეუწყობს მეზობლების მოტივირებას, ჩაერთონ მბა-ის ჩამოყალიბების და ფუნქციონირების პროცესში. ამისათვის, აქტიურმა მეზობლებმა ინფორმაცია უნდა მოიპოვონ ბმა-ის დაფინანსების სხვა შესაძლებლობების შესახებ და გაავრცელონ ეს ინფორმაცია სიტყვიერად, ბროშურების და ბუკლეტების მეშვეობით.

საჯარო შეტყობინებების და საინფორმაციო ბროშურების მაგალითები მოცემულია დანართ 1-ში.

ეტაპი 3: სტრატეგიული გეგმის განვითარება

დაგეგმარების კომიტეტის პირველი დავალება უნდა იყოს სტრატეგიული გეგმის მომზადება, რომელშიც განმარტებული იქნება ბმა-ის ჩამოყალიბების მიზანი და ნათლად იქნება ნაჩვენები, თუ რისი მიღწევა არის შესაძლებელი ერთიანი ძალისხმევის მეშვეონით (ეს პროცესი აღწერილია მე-2 თავში).

ბმა-ის სტრატეგიული გეგმა მრავალბინიანი სახლებისათვის განსხვავდება იმ გეგმისგან, რომელიც მომზადდება ინდივიდუალური სახლების მესაკუთრეების ამხანაგობასთან დაკავშირებით. მაგალითად, მრავალბინიანი სახლების სტრატეგიული გეგმებმა უნდა უზრუნველყონ შენობის უსაფრთხოება და ის, რომ მაცხოვრებლები და სტუმრები არ დაზიანდნენ იმ სამშენებლო სტრუქტურის გამო. რომელიც მწყობში არ არის, მაგ., დაუმაგრებელი აივანი, რომელიც შეიძლება ვინმეს დაეცეს, გაზის მილი, რომელიც ჟონავს და შეიძლება მოწამვლა გამოიწვიოს. ამ დავალებების შესრულება შესაძლებელია ყველა შესაბამისი მომსახურების (მაგ., წყალმომარაგება, ელექტროენერგია, გაზი, ორთქლი, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება, კანალიზაცია, ლიფტის ექსპლუატაცია) სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფით უბედური შემთხვევების პრევენციის, სახლის საექსპლუატაციო პერიოდის გაგრძელების და სამეზობლოში საერთო ვითარების გაუმჯობესების

მიზნით. გახსოვდეთ, რომ მრავალბინიან სახლებს კაპიტალური რემონტი 25 წელიწადში დასჭირდებათ. ამ ამოცანის მისაღწევად, ბმა-მ სტრატეგიულად უნდა იფიქროს, თუ როგორ შეძლებს სახლების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული მომსახურების დაფინანსებას და გრძელვადიან პერსპერქტივაში, მათ რეკონსტრუქციას.

ინდივიდუალური საცხოვრებები სახლების მესაკუთრეების შემთხვევვაში, ყურადღება უნდა მიექცეს საერთო ქონების, მიწის ნაკვეთების და ინდივიდუალური სახლების მოვლა-პატრონობის და სარემონტო გეგმებს. აუცილებელია, მუნიციპალიტეტებთან მჭიდროდ თანამშრომლობა თანადაფინანსების მოპოვების მიზნით ისეთი მომსახურების და ქონების გაუმჯობესებისათვის ან რეკონსტრუქციისათვის როგორიცაა წყალი, გაზი, კანალიზაცია, საბავშო ბაღები, სამედიცინო ცენტრები, სკოლები და მაღაზიები. ადგილობრივი მაცხოვრებლებლების ასეთ პროექტებში თანამონაწილეობა შეიძლება იყოს მათ მიერ შესრულებული სამუშაოების ფორმით.

ეტაპი 4: ბმა-ს სტრუქტურასთან დაკავშირებული წესების შემოღება

მნიშვნელოვანია, რომ ბმა-მ თავის წესდებაში ჩამოაყალიბოს წესები, რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობებს, ვადებსა და უფლებამოსილების დონეებს ბმა-ს სტრუქტურის ყველა რგოლისთვის. აუცილებელი არაა ყველა ამ წესის ერთდროულად შემოღება, თუმცა სავალდებულოა მათი წესდებაში შეტანა. დრო და დრო ბმა-ს წევრებს შეუძლიათ წესდებაში შესწორებების შეტანა გენერალური ასამბლეის შეკრებებზე. წესდების შემუშავებასა და მასში შესწორებების შეტანაზე დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-2 თავში.

<u>ბმა-ს თავმჯდომარის არჩევისა და თანამდებობიდან განთავისუფლების ვადების განსაზღვრა წესდებაში:</u> წესდება უნდა განსაზღვავდეს თავმჯდომარის უფლებამოსილებებს და მისი ამ თანამდებობაზე ყოფნის ვადებს. თავმჯდომარეობის ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ ბმა-ს გენერალური ასამბლეა ახალ თავმჯდომარეს არ აირჩევს, არსებულ თავმჯდომარეს ავტომატურად უგრძელდება უფლებამოსილება წესდებაში განსაზღვული ვადით, მანამ, სანამ არ მოხდება ახალი თავმჯდომარის არჩევა. წესდებაში ასევე განსაზღვრული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა საფუძვლზეც შესაძლებელი იქნება თავჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა, ისეთი როგორიცაა, არაქმედითუნარიანობა, სათანადო უფლებამოსილების გარეშე გადაწყვეტილებების მიღება, ინფორმაციის დამალვა და სხვადასხვა გარიგებებში

ერთპიროვნულად მონაწილეობა. თუ შესაძლებელია, წესდებაში ასევე უნდა განისაზღვრო წამახალისებელი ანაზღაურების (პერიოდული ან რეგულარული) გადახდაც.

<u>გამგეობის წევრების არჩევისა და განთავისუფლების პირობების განსაზღვრა წესდებაში.</u> ბმა-ს წევრებს აქვთ გამგეობის არჩევის უფლებამოსილება. ამ საკითხს საქართველოს ამჟამინდელი კანონი არც ითვალისწინებს და არც კრძალავს. თუ ბმა გადაწყვეტს გამგეობის არჩევას, წესდებაში უნდა განისაზღვროს გამგეობის წევრების პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებების ფარგლები. მაგალითად, გამგეობის წევრების ძირითადად ფუნქციას შეიძლება წარმოადგენდეს კონკრეტულ საკითხებზე რეკომენდაციების მომზადება, რჩევების მიცემა, საამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით სხვადასხვა ვარიანტების შემუშავება და მათი გენერალური ასამბლეისთვის წარდგენა, და თავმჯდომარისთვის დახმარების გაწევა გადაწყვეტილებების მიღებასა და ზოგად საქმიანობაში.

ნაბიჯი 5: ერთობლივ საკუთრებაში არსებული ქონების მართვის, შესყიდვისა და განკარგვის წესების განსაზღვრა წესდებაში (საერთო ქონება)[1]

საქართველოს კანონი ბმა-ს ავალდებულებს წესდებაში განსაზღვროს საერთო ქონების მესამე მხარეზე მიყიდვასთან, ან ამ ქონების მესამე მხარის მიერ გამოყენებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების დამტკიცების აუცილებლობა. ეს ასევე მოიცავს საერთო ქონების გადაცემას, რომლის გამოყენებაც ბმა-ს შეიძლება სურდეს ამხანოგობისთვის შემოსავლების გენერირების მიზნით, მაგ. სახურავის ან ფასადის არენდით გაცემა ბიზნესებზე სარეკლამო საქმიანობისთვის, ან ფართის მიქირავება არამობინადრეთათვის სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად. წესდებაში უნდა განისაზღვროს, თუ რამდენი ხმა არის საჭირო ამგვარი საქმიანობის დასამტკიცებლად, მოსაგებელის ოდენობა, სიხშირე და გადახდის წესები.

ნაბიჯი 6: ბმას მიერ ფინანსური საქმიანობის წარმოების წესების განსაზღვრა წესდებაში[2]

ამხანაგობის წევრებმა წესდებაში უნდა განსაზღვრონ რეგულარული საწევრო შენატანის ოდენობა და სიხშირე. საწევრო შენატანი უნდა იყოს ზომიერი და შეესაბამებოდეს ბმა-ს წევრების ფინანსურ შესაძლებლობებს. ბინათმესაკუთრეებისგან რეგულარული საწევრო შენატანების აკრეფა და თანხის

[1] საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ, მუხლი 23 1ე, 1ზ, 1ი

[2] საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ, მუხლი 23 1გ, 1დ, 1ვ

საბანკო ანგარიშზე დაგროვების დადებითი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ საჭიროების წარმოქმნისას, ბმა-ს ექნება გამზადებული ფონდები. მაგალითად, საცხოვრებელი სახლის სახურავის დაზიანების შემთხვევაში, მობინადრეებს შორის ერთჯერადად მნიშვნელოვანი ფულადი სახსრების მოგროვების ნაცვლად, ბმა-ს შეეძლება დაუყოვნებლივ მოხსნას თანხა ანგარიშიდან, ბმა-სგან შესაბამისი ნებართვის მიღბისთანავე.

ბმა-ს წევრებს ასევე შეუძლიათ წესდებაში შეიტანონ დებულება, რომელიც ბინათმესაკუთრეებს პერიოდული შენატანების განხორციელებას მოსთხოვს. თუმცა, ამ შემთხვევაში, წესდებაში უნდა გაიწეროს ის პრიორიტეტული პრობლემები, რომელთა მოგვარებაზეც დაიხარჯება ამგვარი სახსრები.

წესდებაში ასევე შიძლება გათვალისწინებულ იქნას ბინათმესაკუთრეების მხრიდან განსახორციელებელი საგანგებო სავალდებულო და ნებაყოფლობითი ფულადი შენატანები. სავალდებულო გადასახადების გამოყენება შესაძლებელია საერთო ქონების მოვლასა და შენახვასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად, როდესაც ამგვარი პრობლემის მოუგვარებლობა, სერიოზულ ზიანს გამოიწვევს. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ წვიმის ჟოლობები, სახურავი, კანალიზაცია, საერთო ელექტრო გაყვანილობისა და წყალმომარაგების ხაზები შენახვა, მზიდი კედლები.

ნებაყოფლობითი გადასახადები გამოიყენება ისეთი პროექტების განსახორციელებლად, რომელთაც არ აქვთ გადაუდებელი აქტუალობა, თუმცა სასურველია ბმა-სთვის. ასეთ შემთხვევებში, იმ მობინადრეებს, რომლებიც უარს იტყვიან ნებაყოფლობითი გადასახადების გადახდაზე, უფლება აღარ ექნებათ ისარგებლონ ამგვარი ფონდებით განხორციელებული მშენებლობით ან შენაძენით. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ სპორტული დარბაზები, საცურაო აუზი, რიტუალების დარბაზი და საბავშვო სათამაშო მოედნები.

პირველი გენერალური ასამბლეის მოწვევა

<u>გენერალური ასამბლეის პირველი თავმჯდომარე</u>

პირველი გენერალური ასამბლეისთვის თავმჯდომარის და მდივნის არჩევა

გენერალური ასამბლეა იწყება ბინათმესაკუთრეებს შორის არაფორმალური ხმის მიცემით, იმაზე, თუ ვინ წაიყვანს შეხვედრას და ვინ შეადგენს შეხვედრის ოქმს.

პირველი გენერალური ასამბლეის თავმჯდომარისა და მდივნის როლები

პირველი კრების არჩეულმა თავმჯდომარემ მოსამზადებელი სამუშაოები უნდა ჩაატაროს კრების ორგანიზებისთვის, რაც მოიცავს:

- ⇨ საბაზისო წესების განსაზღვრა კრების სათანადოდ წარსამართავად;
- ⇨ ხმის მიცემის წესების განსაზღვრა; და
- ⇨ დღის წესრიგის შეთანხმება.

არჩეულმა მდივანმა უნდა ჩაიწეროს შენიშვნები. კრების ბოლოს, კრების ოქმს ხელი უნდა მოაწეროს როგორც არჩეულმა თავმჯდომარემ, ისე არჩეულმა მდივანმა, რათა დაადასტურონ, რომ ოქმში სწორად იქნა ასახული კრების დორს განხილული და შეთანხმებული საკითხები.

<u>ბმა-ს თავმჯდომარისა და გამგეობის არჩევა და მათი ფუნქციების განსაზღვრა</u>

<u>**არჩევა**</u>**.** თავმჯდომარეს ირჩევენ ბმა-ს წევრები გენერალური ასამბლეის კრებაზე. თავმჯდომარე წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა ინტერესებს და მართავს ბმა-ს საქმიანობას.

თავმჯდომარის არჩევის გარდა, რეკომენდირებულია მრჩეველთა საბჭოს არჩევაც, რათა მან დახმარება გაუწიოს და გარკვეული რჩევები მისცეს თავმჯდომარეს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ბმა-ში ბევრი ბინათმესაკუთრეა გაერთიანებული. მრჩეველთა საბჭოს წევრთა რაოდენობა დამოკიდებულია ბმა-ს სიდიდეზე. მაგალითად, თუ ბმა-ში გაერთიანებულია 40 ან მეტი ბინათმესაკუთრე, რეკომენდირებულია, რომ მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შევიდეს 5 წევრი, მათ შორის მდივანი, ხაზინადარი, მრჩეველი მშენებლობებისა და სარემონტო საკითხებზე, მრჩეველი კომუნიკაციის საკითხებში და მომსახურების მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება წყლის, კანალიზაციის და სხვა სახის მომსახურების ზედამხედველობაზე.

თავმჯდომარისა და მრჩეველთა საბჭოს არჩევნების საკითხები ასახული უნდა იყოს ბმა-ს გენერალური ასამბლეის კრების დამტკიცებულ ოქმებში.

<u>**ფუნქციები და პასუხისმგებლობები**</u>**.** თუ ბმა-ს წესდება არ მოიცავს საქმიანობის დეტალურ აღწერილობას, მაშინ თავმჯდომარემ უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს კანონში წარმოდგენილი დებულებებით:[3]

- ⇨ მოიწვიოს და ჩაატაროს ბმა-ს გენერალური ასამბლეა;

[3] საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ, ნაწილი V, მუხლი 26, პარაგრაფი 7

- ⇨ უზრუნველყოს გენერალურ ასამბლეაზე მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელება;
- ⇨ ბმა-ს სხვა წევრებთან თანამშრომლობით განახორციელოს ყველა საჭირო ქმედება, რათა უზრუნველყოს ბმა-ს საერთო ქონების შენახვა, სათანადოდ ფუნქციონირება და განვითარება;
- ⇨ ბმა-ს სხვა წევრებთან თანამშრომლობით შეადგინოს წლიური ბიუჯეტი;
- ⇨ ბმა-ს სხვა წევრებთან თანამშრომლობით განსაზღვროს საწევრო შენატანისა და სხვა დამატებითი შენატანების ოდენობა, რათა უზრუნველყოს ბმა-ს საერთო ქონების განვითარება;
- ⇨ ბმა-ს სხვა წევრებთან თანამშრომლობით, მბა-ს საერთო ქონება გააქირავოს, გასცეს იჯარით ან გადასცეს განკარგვის უფლებით მესამე მხარეს;
- ⇨ ბმა-ს სხვა წევრებთან თანამშრომლობით მიიღოს ან გასცეს ვალები;
- ⇨ განახორციელოს საჭირო ქმედებები რათა შეასრულოს ვადები და თავიდან აიცილოს უარყოფითი სამართლებრივი შედეგები;
- ⇨ მიიღოს და დაფაროს ბმა-ს ხარჯები;
- ⇨ გააფორმოს ბმა-ს საერთო ქონების შენახვასთან, გამართულად ფუნქციონირებასთან და განვითარებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები და უზრუნველყოს შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა;
- ⇨ შეასრულოს ბმა-ს წარმომადგენლის როლი სასამართლოსა და სხვა უწყებებში;
- ⇨ შეარჩიოს ბმა-ს სხვა წევრი, რომლიც შეასრულებს თავმჯდომარის მოვალეობებს მისი არყოფნის პერიოდში; და
- ⇨ მისი ვადის ამოწურვის შემდეგ, ახალ თავმჯდომარეს გადასცეს თავმჯდომარის პოზიციასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია, დოკუმენტაცია და მატერიალური აქტივები.

თავმჯდომარე ასევე პასუხისმგებელია ბმა-ს საბანკო ანგარიშის გახსნასა და ყველა ფინანსური გარიგების განხორციელებაზე, მას შემდეგ, რაც ეს გარიგებები დამტკიცებული იქნება მრჩეველთა და მაკონტროლირებელი კომიტეტის მიერ.

სამუშაოს აღწერილობის ნიმუში და საქმიანობათა ჩამონათვალის ფორმა, სადაც დეტალურად არის გაწერილი თავმჯდომარის ყოველდღიური საქმიანობა, წარმოდგენილია დანართში **4.**

<u>**თავმჯდომარის შერჩევის კრიტერიუმები**</u>

მბა-ს ნებისმიერ წევრს შეუძლია თავად წამოაყენოს, ან სხვა წევრების მიერ დასახელდეს თავმჯდომარეობის კანდიდატად. ალტერნატიულად, ბმა-ს ასევე შეუძლია თავმჯდომარეობის კანდიდატად მოიწვიოს გარეშე პირი.[4] რეკომენდირებულია ბმა-ს თავმჯდომარეობის ერთზე მეტი კანდიდატის არსებობა. ეს ხელს შეუწყობს არჩევნების პროცესის დემოკრატიულად წარმართვას. თავმჯდომარის არჩევის წესები ერთანირად ვრცელდება ყველაზე: პირებზე, რომლებმაც თავად წამოაყენეს საკუთარი კანდიდატურა, პირებზე, რომლებიც ბმა-ს მიერ იქნენ დასახელებულნი და პირებზე, რომლებიც არ არიან ბმა-ს წევრები. თუ ბმა გადაწყვეტს ბმა-ს გარეშე პირის თავმჯდომარედ არჩევას, მან განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეადგინოს აღნიშნულ პირთან გასაფორმებელი ხელშეკრულება, რათა უზრუნველყოს ბმა-ს ინტერესების დაცვა.

თავმჯდომარის არჩევა არ უნდა მოხდეს დაუდევრად, ვინაიდან, ეს არის მნიშნველოვანი პროცესი, რომელიც ბმა-ს წარმატების საწინდარია. თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეს გარკვეული უნარები, რომელიც უზრუნველყოფს მის წარმატებულ საქმიანობას. თავმჯდომარის არჩევისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი კრიტერიუმები:

- **ლიდერობის (ხელმძღვანელობის) უნარი**. წარმატებულ თავმჯდომარეს, ხელმძღვანელობის ძლიერი უნარი უნდა ჰქონდეს. ეს უნარი მას დაეხმარება სხვადასხვა შეხვედრებზე თავისი მოსაზრებების თავისუფლად გამოთქმაში, სხვების მოსმენასა და ბმა-ს ინტერესების გამტარებელი ქმედებების განხორციელებაში, ასევე სხვების დარწმუნებასა და მისი პოზიციის გაზიარებაში.
- **მართვის უნარი**. წარმატებულ თავმჯდომარეს უნდა შეეძლოს რამდენიმე საკითხზე ერთდოულად მუშაობა, რაც თავისთავად მოითხოვს მართვის ძლიერ უნარს. თავმჯდომარეს უნდა შეეძლოს ფუნქციების გარჩევა, დავალებების მიცემა, დაგეგმვა, და ამოცანების პრიორიტეტებად დაყოფა, რათა შეძლოს წლიურ გეგმებში განსაზღვრული მიზნების მიღწევა.
- **კომუნიკაციის უნარი**. თავმჯდომარის ერთ-ერთი პასუხისმგებლობაა სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან მუშაობა. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია ძლიერი და ეფექტური კომუნიკაციის უნარები. თავმჯდომარეს უნდა შეეძლოს სხვებთან საქმიანი ურთიერთობების დამყარება, ნდობისა და კეთილგანწობის მოპოვება როგორც ბმა-ს სხვა წევრებს, ისე საზოგადოების ფართო წრეებში.

[4] საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ, ნაწილი V, მუხლი 26, პარაგრაფი 4.

- **პროგრამული უნარები**. თავმჯდომარე პასუხისმგებელია უხელმძღვანელოს წლიური სამოქმედო გეგმის განხორციელებას, სადაც განსაზღვრულია ამხანაგობის პრიორიტეტული საქმიანობები და რომელიც მოწოდებულია ბმა-ში მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. წლიური სამოქმედო გეგმის ნიმუში და ფორმა წარმოდგენილია დანართში 5.
- **გამოცდილება და კეთილი ნება**. თავმჯდომარეს უნდა ქჰონდეს კომუნიკაციის ძლიერი უნარი და სასურველია გააჩნდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის გამოცდილება. ასევე, თავმჯდომარემ უნდა იცოდეს, რომ დადებითი ცვლილების განხორციელება მოითხოვს ძლიერ ხლემძღვანელს, რომელიც მოწადინებულია ბმა-ს საერთო ინტერესების გატარებისთვის აუცილებელ საქმიანობაზე დახარჯოს დრო და შესაბამისი რესურსები.

<u>თავმჯდომარის არჩევა</u>

თავმჯდომარის არჩევამდე, ბმა-ს წევრებმა უნდა მოიწვიონ გენერალური ასამბლეა. სულ მცირე ყველა ბინათმესაკუთრის 2/3 (ოჯახზე ერთი ხმა) უნდა დაესწროს თავმჯდომარის არჩევნებს. თუ ბმა-ს წევრების საერთო რაოდენობა არ აჭარბებს 12, მაშინ აუცილებელია ხმების ¾. გენერალურ ასამბლეას უძღვება ბმა-ს ერთ-ერთი წევრი. გენერალურ კრებაზე, კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი პრეზენტაციები და სამოქმედო გეგმის პროექტი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ის პრიორიტეტები, რომელზეც ისინი იმუშავებენ თავიანთი თავმჯდომარეობის პერიოდში, მანამ, სანამ სხვა წევრები აღწერენ მათ ძლიერ მხარეებს, და იმას, თუ რისი შეთავაზება შეუძლიათ მათის რწმენით თავმჯდომარეობის კანდიდატებს ბმა-სთვის. მას შემდეგ, რაც ყველა კანდიდატს მიეცემა შსაძლებლობა ხმა მისცეს თავის კანდიდატურას, ბმა-ს წევრები ჩაატარებენ ხმის მიცემის პროცედურას, წერილობით ან ხელის აწევით, იმის მიხედვით, თუ ხმის მიცემის რომელ ფორმას ანიჭებს ბმა-ა. უპირატესობას. კანდიდატი, რომელიც ყველა ბინათმესაკუთრეთა ხმების 2/3-ს მოიპოვებს, ჩაითვლება არჩეულ თავმჯდომარედ.[5]

<u>ბმა-ს წესდების მიღება</u>

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონის ნაწილ V, მუხლ 26-ში წარმოდგენილია ბმა-ს ზოგადი წესდება და განსაზღვრულია ყველა სამართლებრივი მოთხოვნა ბმა-სადმი. თუ ბმა არ მიიღებს წესდებას, ნაწილი V, მუხლი 26 გახდება ბმა-ს წესდება. თუმცა, ბმა-ს შეუძლია შემდგომში არეგულიროს

[5] საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ, ნაწილი V, მუხლი 26, პარაგრაფი 3.

თავისი საქმიანობები იმ გადაწყვეტილებების საშუალებით, რომლებსაც გენერალურ ასამბლეაზე მიიღებს, და რომლებიც ასახული იქნება ბმა-ს გენერალური ასამბლეის ოქმში. ოქმი ხელმოწერილი უნდა იყოს თავმჯდომარის, მდივნის და ბმა-ს გენერალური ასამბლეის მონაწილეთა მიერ.

წესდების შემუშავების მნიშვნელოვანი ნაწილია ბმა-ს ბინათმესაკუთრეთა ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განხილვა და მათი დამტკიცება.

იდეალურ შემთხვევაში, ბმა-მ წესდებაში შესწორებები უნდა შეიტანოს წინა ნაწილში აღწერილი მოსაზრებების გათვალისინებით. წესდების მიღება შესაძლებელია ორი გზით:

- ⇨ ბინათმესაკუთრეთა მიერ ხმის მიცემით ზოგად წესდებაზე, რომელიც არ ასახავს ცვლილებებს; ან
- ⇨ ბინათმესაკუთრეთა მიერ ზოგად წესდებაში შესწორების შეტანაზე ხმის მიცემით.

წესდების, ან გენერალური კრების ოქმით დამტკიცებული შესწორებების მიღება მოითხოვს ბინათმესაკუთრეთა ხმების 2/3 გენერალური ასამბლეის კრებაზე, ან თუ ბმა-ს წევრთა რაოდენობა 12 არ აღემატება, მაშინ საჭიროა ხმათა ¾.

(ბმა-ს წესდების ფორმა და ნიმუში წარმოდგენილია დანართში 2).

<u>ბმა-ს გენერალურ კრებაზე ოქმების მომზადება და დამტკიცება</u>

ბმა-ს მიერ მოწვეული ყველა გენერალური კრება არის მეტად მნიშვნელოვანი, ამიტომ სავალდებულოა თითოეულ კრებაზე განხილული საკითხებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ჩანაწერების გაკეთება.[6] ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირველ გენერალურ კრებაზე განხორციელებულ ჩანაწერებს, ვინაიდან ეს არის ფორუმი, სადაც ხდება ბმა-ს დაარსებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. გარდა ამისა, პირველი გენერალური კრების ოქმი აუცილებელია, ვინაიდან ეს ოქმი წარმოადგენს ბმა-ს დაარსების დამამტკიცებელ საბუთს.

ბმა ვალდებულია შეადგინოს გენერალური ასამბლეის პირველი კრების ოქმი, რათა უზრუნველყოს ბინათმესაკუთრეთა მიერ ჩამოყალიბებული მიზნებისა და პრიორიტეტების და მიღებული გადაწყვეტილებების ზუსტი

[6] საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ, ნაწილი V, მუხლი 28, პარაგრაფი 7, 8, და 9.

ასახვა.(ჩანაწერების/ოქმების ფორმა და ნიმუში წარმოდგენილია დანრთში 5) ბმა-ს დასაარსებლად სავალდებულოა პირველი გენერალური კრების ჩანაწერები.

პირველ გენერალურ კრებაზე მდივნის მიერ გაკეთებულ ჩანაწერებს ხელი უნდა მოაწეროს როგორც თავმჯდომარემ, ისე მდივანმა. ჩანაწერები უნდა ასახავდეს პირველ გენერალურ კრებაზე განხილულ ყველა საკითხს და მიღებულ გადაწყვეტილებას. მეორე დოკუმენტი, რომელიც ერთვის გენერალური კრების ოქმს, არის პირველი გენერალური კრების მონაწილე ბმა-ს წევრების ხელმოწერები; როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მათი ხელმოწერები ადასტურებს, რომ კრების ჩანაწერებში სიზუსტითაა ასახული პირველ გენერალურ კრებაზე განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები. ეს ერთმანეთზე დართული ორი დოკუმენტი წარმოადგენს დოკუმენტურ დადასტურებას, რომ ბინათმესაკუთრეები თანახმა არიან დააარსონ ბმა.

ბმა-ს დოკუმენტაციისა და წესდების ლეგალიზაციისთვის აუცილებელია, პირველი გენერალური კრების ოქმში სპეციალურად აღინიშნოს, რომ კრების დროს მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება დაიწყება მიღების მომენტიდან, ან რაიმე ცვლილების მიღებამდე. ბმა-ს რეგისტრირებისთვის საჭიროა ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების ორიგინალებისა და შვიდი ასლის ნოტარიალურად დამოწმება და ქვემო აღწერილ უწყებებში წარდგენა:

- ⇨ თავმჯდომარისა და მდივნის მიერ ხელმოწერილი პირველი გენერალური კრების ოქმი და დანართი, სადაც დაფიქსირებულია იმდენი ბინათმესაკუთრის ხელმოწერა, რამდენიც სავალდებულოა ბმა-ს დასამტკიცებლად;
- ⇨ ბმა-ს წესდება. ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა უწყება, გარდა მუნიციპალიტეტისა, მოითხოვს ნომინალურ გადასახადს, რომლის ოდენობაც განსხვავებულია ადგილმდებარობის მიხედვით.

ბმა-ს რეგისტრაცია

ქვემოთ აღწერილია ყველა ის ეტაპი, რომლის გავლაც აუცილებელია საქართველოში ბმა-ს დასარეგისტრირებლად. გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთმა მუნიციპალიტეტმა შეიძლება მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა, ამიტომ მნიშვნელოვანია, პროცესის დაწყებამდე, მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურთან, რომელიც პასუხისმგებელია ბმა-სთან დაკავშირებული საკითხების კოორდინირებაზე, გადაამოწმოთ ითხოვენ თუ არა დამატებით ინფორმაციას.

ეტაპი 1: კრების ოქმისა და წესდების ნოტარიუსთან წარდგენა

წესდებისა და თავმჯდომარისა და მდივნის მიერ ხელმოწერილი პირველი გენერალური კრების ოქმის თითო დამოწმებული ასლი უნდა ინახებოდეს ნოტარიუსთან. ეს ჩვეულებრივი წესია და ვრცელდება ყველა იმ დოკუმენტზე, რომელის დამოწმებასაც ახდენს საქართველოში მოქმედი ნოტარიუსი. ნოტარიუსი თავის არქივში ინახავს დამოწმებული დოკუმენტაციის ერთ ასლს, რომელსაც ისეთივე იურიდიული ძალა აქვს, როგორიც ორიგინალს.

ეტაპი 2: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა (ბმა) ინახავს ნოტარიალურად დამოწმებული დოკუმენტების ერთ ასლს

ბმა-მ უნდა შეინახოს ნოტარიალურად დამოწმებული კრების ოქმისა და ხელმოწერების ერთი ასლი. ეს დოკუმენტიც არის ასლი, და არა ორიგინალი.

ეტაპი 3: ნოტარიალურად დამოწმებული დოკუმენტები წარედგინება ადგილობრივ მუნიციპალიტეტს, სპეციალური სამსახურების დეპარტამენტებს

ნოტარიალურად დამოწმებული დოკუმენტების ორიგინალი უნდა წარედგინოს მუნიციპალიტეტის სამსახურის, რომელიც პასუხისმგებელია ბმა-ს რეგოსტრაციაზე. მუნიციპალიტეტი დოკუმენტს ინახავს თავის არქივში და მის საფუძველზე ადგენს სპეციალურ დოკუმენტს, რომელიც ბმა-ს ანიჭებს საჯარო რეესტრში გატარების უფლებამოსილებას. ნოტარიალურად დამოწმებული კრების ოქმის მუნიციპალიტეტში წარდგენის შემდეგ, მუნიციპალიტეტი გასცემს ცნობას ბმა-ს რეგისტრაცის დამტკიცების შესახებ. მუნიციპალიტეტი ბმა-ს ამ მომსახურების გადასახადს არ აკისრებს.

ეტაპი 4: ნოტარიალურად დამოწმებული დოკუმენტებისა და მუნიციპალიტეტის მიერ ბმა-ს რეგისტრაციის დამტკიცების დოკუმენტის საჯარო რეესტრში წარდგენა

ბმა-მ ნოტარიალურად დამოწმებული დოკუმენტები და მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული რეგისტრაციის დოკუმენტი უნდა წარადგინოს ადგილობრივ საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრი დოკუმენტურად ატარებს ბმა-ს დაარსებას თავის მონაცემთა ბაზაში და ამრიგად ბმა ხდება ოფიციალურად დარეგისტრირებული!

ეტაპი 5: ნოტარიალურად დამოწმებული დოკუმენტების ბანკში წარდგენა და საბანკო ანგარიშის გახსნა

ფინანსური გარიგებების სამართავად, ბმა-ს დასჭირდება საბანკო ანგარიშის გახსნა. ამისათვის, ბმა-მ ნოტარიალურად დამოწმებული წესდება და გენერალური კრების ოქმები უნდა წარუდგინოს ბანკს.

ეტაპი 6: ნოტარიალურად დამოწმებული დოკუმენტების საგადასახადო ინსპექციისთვის წარდგენა

თუ ბმა ჩართული იქნება ფინანსური საქმიანობის განახორციელებაში, ის ვალდებულია საგადასახადო ინსპექციაში დარეგისტრირდეს ინდივიდუალურ გადასახადის გადამხდელად. ამისათვის, ბმა-მ საგადასახადო ინსპექციას უნდა წარუდგინოს ნოტარიალურად დამოწმებული წესდებისა და კრების ოქმის ასლები.

ეტაპი 7: საერთო ქონების საზღვრების დარეგისტრირება

თუ ბმა-ს სურს საერთო ქონების საზღვრების დადგენა და დარეგისტრირება, მან უნდა დაიქირავოს არქიტექტორი, ან სხვა მსგავსი სამსახური, რათა მოახდინოს მიწის ნაკვეთის საზღვრების გამიჯვნა (აზომვა). შემდეგ, აღნიშნული მიწის ნაკვეთის დადგენილი საზღვრები, კრების ოქმთან და სხვა სათანადო დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარადგინოს საჯარო რეესტრში.

ამ თავში აღწერილი პროცედურები წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ სავალდებულო მოთხოვნებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ბმა-ს დაარსებას და მართვას. გარდა ამისა, თავში წარმოდგენილია წინადადებები, რომლებიც შემუშავებულია საქართველოსა და საერთაშორისო გამოცდილებით შეძენილი საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით. წინამდებარე თავში წარმოდგენილი ეტაპები არის სტანდარტული, თუმცა, საქართველოს ზოგიერთმა მუნიციპალიტეტმა ბმა-ს დასარეგისტრირებლა შესაძლოა მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც ამ სახელმძღვანელოში არ არის მითითებული, ძირთადად იმიტომ, რომ ისინი კონკრეტული მუნიციპალიტეტის ექსკლუზიურ მოთხოვნას წარმოადგენენ. შემდეგ თავში ჩვენ გაგაცნობთ და შემოგთავაზებთ ბმა-ს მართვასთან დაკავშირებულ სახელმძღვანელო წესებს.

თავი 2

ბმა-ს მართვა და ფუნქციონირება

როგორც ეს უკვე აღნიშნული იყო პირველ თავში, გენერალური კრება, რომლის შემადგენლობაშიც შედის ყველა ბინათმესაკუთრე, არის ბმა-ს ყველაზე მაღალი დონე გადაწყვეტილების მიღებისთვის. ბმა-ს თავმჯდომარე, ბმა-ს გამგეობა და ბმა-ს ბინათმესაკუთრეები ვალდებულები არიან დაემორჩილონ გენერალურ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებებით დადგენილ წესებს, რათა შეძლონ ბმა-ს პროაქტიული მართვა და საქმიანობის წარმართვა. გამართული სტრუქტურის გარეშე, შეუძლებელი იქნება ბმა-ს მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების აღსრულება და საქმიანობის განხორციელება.

წინამდებარე თავში წარმოდგენილ ნაწილებში აღწერილია ბმა-ს საჭიროებების მართვასთან დაკავშირებული მითითებები და ის ქმედებები, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია ბმა-ს ეფექტურად ფუნქციონირებისთვის. ეს მითითებები შემუშავებულია მოქმედი ბმა-ების პრაქტიკული გამოცდილების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონის დებულებების გათვალისწინებით, აგრეთვე, ბმა-ს მართვის საკითხებში რეგიონის იმ მოწინავე საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციებზე დაყრდნობით, რომელთაც აღნიშნულ სფეროში მოღვაწეობის ორ ათეულ წელზე მეტი გამოცდილება გააჩნიათ. ვინაიდან გენერალურ კრებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბმა-სთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების თვალსაზრისით, ამ ნაწილს ვიწყებთ იმ წინაპირობებისა და ეტაპების აღწეით, რომელთა დაცვაც აუცილებელია გენერალური კრების სრული ფუნქციონირებისთვის.

გენერალური ასამბელის კრებები

კრების მოწვევის სიხშირე

ბმა-მ უნდა გადაწყვიტოს, თუ რა სიხშირით სურს კრებების ორგანიზება. იმ შემთხვევებში, როდესაც წესდება არ განსაზღვრავს შეხვედრების სიხშირეს, თავმჯდომარემ გენერალური ასამბლეა უნდა მოიწვიოს სულ მცირე წელიწადში ერთხელ. თუ სახეზე არ არის თავმჯდომარე, ან თუ ის ვერ ასრულებს თავის მოვალეობას ამ კუთხით, გენერალური ასამბლეის მოწვევა შეუძლია ბმა-ს ნებისმიერ წევრს; ამგვარ ვითარებაში, ბმა-ს ერთიანობის დაცვის მიზნით, ჩვენ გთავაზობთ, რომ ამგვარი კრებები მოიწვიოს არჩეული მაკონტროლირებელი კომიტეტის რომელიმე წევრმა, და მას დაესწროს ბინათმესაკუთრეთა სულ მცირე 25 პროცენტი. კრების მოწვევასთან დაკავშირებული მოთხოვნის წესდებაში გათვალისწინებით, ბმა-ს შესაძლოა სურდეს თავისი ამხანაგობის დაცვა.

ბმა-ს წევრებმა გენერალური ასამბლეის მოწვევის შესახებ შეტყობინება უნდა მიიღონ წინასწარ, წერილობითი ფორმით. აღნიშნულ შეტყობინებას უნდა გზავნიდეს თავმჯდომარე, მაგრამ მისი ჩაბარება უნდა განახორციელოს მდივანმა, ან ბმა-ს რომელიმე არჩეულმა წევრმა. საგანგებო სიტუაციებში, გენერალური ასამბლეის მოწვევა დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს.[7]

ხმის მიცემის უფლებამოსილება

[7] საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ, ნაწილი V, მუხლი 27, პარაგრაფები 2 და 3.

გენერალური ასამბლეის კრებებს უნდა ესწრებოდეს ოჯახის მხოლოდ ერთი წარმომადგენელი, რომელსაც ოჯახის მიერ ხმის მიცემის უფლებამოსილება აქვს მინიჭებული. თითოეულ ოჯახს აქვს ერთი ხმა. თუ ბინა ერზე მეტი პირის მფლობელობაშია, მხოლოდ ერთ-ერთ მფლობელს აქვს იმ ოჯახის სახელით ხმის მიცემის უფლება. თუ მარტოხელა ბინათმესაკუთრე რამდენიმე ბინას ფლობს, მას იმდენი ხმა აქვს, რამდენი ბინაცაა მის საკუთრებაში.

მაგალითად, საცხოვრებელი ფართის პრივატიზაციის დროს, მეუღლეს უფლება აქვს ბინის თანამესაკუთრედ დარეგისტრირდეს. ამგვარ შემთხვევებში, ბინას ჰყავს ორი თანამფლობელი. თუმცა, ამ თანამფლობელებს მხოლოდ ერთი ხმა აქვთ ბმა-ს გენერალური ასამბლეის კრებაზე. მათ ერთმანეთში უნდა გადაწყვიტონ, თუ ვინ იქნება მათი ოჯახის წარმომადგენელი. თუ ოჯახი თავად არ მიიღებს გადაწყვეტილებას, ბმა ოჯახის ყველაზე უხუცეს წევრს ჩათვლის ბმა-ს წევრად ხმის მიცემის უფლებით.[8]

გენერალური ასამბლეის კრებისთვის მზადება და მის შესახებ ინფორმირება

ბმა-ს თავმჯდომარე და დამგეგმავი კომიტეტი პასუხს აგებენ გენერალური ასამბლეის კრების მომზადებასა და მის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე. რეკომენდირებულია, გენერალური ასამბლეის კრების შესახებ შეტყობინების სულ მცირე სამი კვირით ადრე დაგზავნას, რათა ბინათმესაკუთრეებმა შეძლონ თავიანთი განრიგის შესაბამისად დაგეგმვა და შეხვედრისთვის თავისუფალი დროის გამონახვა. გენერალური ასამბლეის შეხვედრასთან დაკავშირებული შეტყობინება მოიცავს შემდგომ ეტაპებს:

- ⇨ გადაწყვეტილების მიღება გენერალური ასამბლეის კრებისთვის მოსახერხებელი თარიღის, დროისა და ადგილის შერჩევის შესახებ;
- ⇨ ამ ინფორმაციის შემცველი განცხადების გაკვრა საზოგადოებისთვის შესამჩნევ ადგილებში (მაგ. ლიფტების კაბინებში, განაცხადების დაფებზე, შენობების შესასვლელში, და თითოეული სართულის კიბის უჯრედის კედლებზე);
- ⇨ დღის წესრიგის მომზადება;

შენიშვნა: თუ გენერალური ასამბლეის კრებაზე მისაღები რომელიმე გადაწყვეტილება მოითხოვს ბინათმესაკუთრეთა 100% მონაწილეობას, ეს მითითებული უნდა იყოს დღის წესრიგსა და მოსაწვევ შეტყობინებაში, რათა ბინათმესაკუთრეებმა იცოდნენ, რომ ისინი ან უნდა თავად დაესწრონ კრებას, ან

[8] საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ, ნაწილი V, მუხლი 28, პარაგრაფი 4.

გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენელი, რომელსაც მათი სახელით ხმის მიცემის უფლება ექნება. თუ ბინათმესაკუთრეს ფიზიკურად არ შეუძლია გენერალურ ასამბლეაზე დასწრება, მან მის წარმომადგენელ პირს უნდა გადასცეს ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა.

- ⇨ მასალის წინასწარ მომზადება ყველა იმ საკითხზე, რომელიც გენერალურ ასამბლეაზე კენჭისყრას მოითხოვს (მაგ. საერთო ქონების გაქირავება, შეძენა ან გაყიდვა);
- ⇨ კრებაზე მოწვევის, დღის წესრიგისა და ნებისმიერი სხვა მასალის ბინათმესაკუთრისთვის გადაცემის დამადასტურებელი ხელმოწერის ფურცელი (ფორმები და ნიმუშები იხილეთ დანართში 3);
- ⇨ გენერალური ასამბლეის კრებამდე ათი დღით ადრე პერსონალური მოსაწვევების, დღის წესრიგის და ნებისმიერი იმ მასალის დაგზავნა, რომლის შესახებ გადაწყვეტილებაც გენერალურ ასამბლეაზე უნდა იქნას მიღებული. აუცილებელია, რომ ბინათმესაკუთრეებმა, რომლებიც ხელზე იბარებენ მოსაწვევს და შეხვედრის მასალებს, ხელი მოაწერონ მასალის მიღების დამადასტურებელ ფურცელს. თუ რომელიმე ბინათმესაკუთრეს ხელზე ვერ გადაეცემა მოსაწვევი და მასალები, მათ ეს ყველაფერი უნდა გაეგზავნოთ დამოწმებული ფოსტით, ან მიწოდების რომელიმე დამოწმებული ფორმით.

ბმა-ს გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ხმები

ბმა-ს გადაწყვეტილებათა უმრავლესობის მიღება შესაძლებელია გენერალურ ასამბლეაზე, თუ კრებას ბინათმესაკუთრეთა სულ მცირე 2/3 ესწრება. ბმა-ს წევრების ხმების 2/3-ს მოითხოვს ქვემოთ მოყვანილი გადაწყვეტილებები:

- ⇨ თავმჯდომარის არჩევა;[9]
- ⇨ ბმა-ს წესდების მიღება ან სახეცვლილება (საჭიროა ხმათა ¾, თუ ბმა-ს წევრების რაოდენობა არ აღემატება 12);[10]
- ⇨ მრავალბინიან სახლში საერთო ქონების მფლობელობის წილის რეგისტრაცია (მაგ. სარდაფი, სხვენი, მანსარდა, და ა.შ);[11] და
- ⇨ ბმა-ს საერთო ქონების განვითარების მიზნით საწევრო გადასახადის გაზრდა.[12]

[9] საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ, ნაწილი V, მუხლი 26, პარაგრაფი 3.
[10] საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ, ნაწილი IV, მუხლი 23, პარაგრაფი 2.
[11] საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ, ნაწილი II, მუხლი 2.
[12] საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ, ნაწილი IV, მუხლი 15, პარაგრაფი 2.

შემდეგი გადაწყვეტილებების მიღება საჭიროებს ბმა-ს წევრთა მხრიდან ერთსულოვან თანხმობას (ხმათა 100%):

- ⇨ შემდეგი ტიპის საერთო ქონების მესამე მხარისთვის მიქირავება ან განკარგვაში გადაცემა:[13]
  - კიბის უჯრედის და კიბეების;
  - ლიფტების და სხვა ტიპის არხებისა და გაყვანილობების;
  - საერთო კორიდორებისა და დერეფნების;
  - ტექნიკური სართულების, მზიდი და არამზიდი სტრუქტურების, სახურავის;
  - მექანიკური, ელექტრონული, სანიტარულ-ტექნიკური, და სხვა აღჭურვილობა/მოწყობილობა, რომელიც მრავალბინიანი შენობის შენახვისთვის გამოიყენება; და,
  - მიწის ნაკვეთი.
- ⇨ საერთო ქონების განვითარება იმგვარად, რომ შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს მისი არქიტექტურული სტრუქტურა და ზეგავლენა მოახდინოს ბმა-ს წევრების მიერ საერთო ქონების გამოყენებაზე.[14]

შენიშვნა: საერთო ქონების განვითარებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას სჭირდება ერთსულოვანი თანხმობა, ვინაიდან ამან შეიძლება შეცვალოს მთლიანი ქონების წილი, და შესაბამისად გადასახადის სტრუქტურა.

- ⇨ ერთ მიწის ნაკვეთზე მდებარე მრავალბინიან სახლში ერთ ან რამდენიმე საზოგადოებრივ შენობაზე ბმა-ს დაარსება;[15] და
- ⇨ მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე განლაგებულ შენობებზე ბმა-ს დაარსება.[16]

შენიშვნა: ზემოთ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ხმების რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს ბმა-ს წესდებაში გაწერილი დებულებებით. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბმა-ს არ აქვს განსაზღვრული საჭირო ხმების რაოდენობა, გადაწყვეტილებები, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, მიიღება გენერალურ კრებაზე დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით. თუ ვივარაუდებთ, რომ ბინათმესაკუთრეთა 2/3 ესწრება კრებას.

---

[13] საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ, ნაწილი II, მუხლი 5, პარაგრაფი ა-ვ.
[14] საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ, ნაწილი III, მუხლი 10, პარაგრაფი 1.
[15] საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ, ნაწილი IV, მუხლი 11, პარაგრაფი 2.
[16] საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ, ნაწილი IV, მუხლი 11, პარაგრაფი 3.

ბმა-ს წევრებს შეუძლიათ არ მისცენ ხმა შემდეგ გარემოებებში:[17]

- ⇨ თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი; ან
- ⇨ საკითხი ეხება მის წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილ სასარჩელო განცხადებას.

გენერალური ასამბლეის შეხვედრის დოკუმენტირება

რეკომენდირებულია თავმჯდომარის, ან მის მიერ დანიშნული პირის მიერ გენერალურ ასამბლეასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა. ამგვარი პრაქტიკა უზრუნველყოფს ბმა-ს მიერ განხილული საკითხებისა და მიღებული გადაწყვეტილებების სათანადოდ დაცვას და ადვილად ხელმისაწვდომობას. ყველა ბინათმესაკუთრისთვის ამ ჩანაწერებზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს გამჭვირვალეობას და ბინათმესაკუთრეთა მხრიდან აქტიურობის გაუმჯობესებას, რაც მეტად მნიშვნელოვანია ბმა-ს წარმატებულად ფუნქციონირებისთვის. ყოველი კრების ბოლოს, აუცილებელია შემდეგი დოკუმენტების თავმოყრა და უსაფრთხო ადგილას შენახვა:

- ⇨ კრებაზე მოწვევის წერილი;
- ⇨ ბინათმესაკუთრის მიერ კრებაზე მოწვევის მიღების დამადასტურებელი წერილი;
- ⇨ დღის წესრიგი;
- ⇨ გენერალურ ასამბლეაზე წარმოდგენილი ყველა დოკუმენტაცია (მაგ. სამოქმედო გეგმა, ბიუჯეტი, ანგარიშფაქტურები, პრეზენტაციები ახალ პროექტებზე, რომლებიც გავლენას მოახდენენ საერთო ქონებაზე);
- ⇨ გენერალური ასამბელის ოქმი, სადაც დაფიქსირებულია ასამბლეის თავმჯდომარის, მდივნის და ორი დამატებითი ბინათმესაკუთრის ხელმოწერა, რომლებიც კრების დროს არჩეულ იქნენ ოქმის სიზუსტის დასადასტურებლად. ასამბლეის თავმჯდომარის ხელმოწერა მოთხოვნილია კანონით, გარდა ამისა, რეკომენდირებულია, თავმჯდომარის მიერ ოქმზე ხელმოწერის პროცესში ბმა-ს კიდევ ორი წარმომადგენლის დასწრება. ასევე რეკომენდირებულია ამ პროცედურის წესდებაში გათვალისწინება.[18]
- ⇨ დასწრების ფურცელი.

[17] საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ, ნაწილი V, მუხლი 28, პარაგრაფი 6.
[18] საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ, ნაწილი V, მუხლი 28, პარაგრაფი7.

მართვასა და საქმიანობასთან დაკავშირებული დავალებები

ბმა-ს თავმჯდომარე და ბმა-ს არჩეული წარმომადგენლები პასუხისმგებლები არიან საერთო ქონების მართვასა და ფუნქციონირებაზე, როგორც ეს გაწერილია ბმა-ს წესდებაში.[19]

მაშინ როდესაც ბმა-ს უპირველესი მიზანია საერთო ქონების შენახვა და განვითარება, საერთო ქონების მოვლასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას, ბინათმესაკუთრეებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინიც არიან პასუხისმგებლები საერთო ქონების ტექნიკურ გამართულობაზე, რათა არავინ დაზიანდეს ან ვინმეს საფრთხე არ შეექმნას იმის გამო, რომ ბმა-მ ვერ შეძლო საჭირო სარემონტო სამუშაოს შესრულება.

საერთო ქონების გეგმიური შეკეთების შედეგად უნდა გაუმჯობესდეს ბინათმესაკუთრეთა ცხოვრების სტანდარტი და გაიზარდოს შენობების / ან ინდივიდუალური სახლების ეფექტიანობა. მაგალითად, ენერგო ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად განხორციელებული ინვესტიცია, როგორიცაა სახურავის, კედლებისა და იატაკის თბო-იზოლაცია, რაც საბოლოო ჯამში შეამცირებს ბინათმესაკუთრეთა კომუნალურ გადასახადებს. ასეთ შემთხვევებში, ინვესტიციები დროთა განმავლობაში ამოიღებს დანახარჯს.

ბმას მართვასთან დაკავშირებული საქმიანობა იყოფა ქვემოთ ჩამოთვლილ მომსახურების სამ ძირითად ტიპად:

- ⇨ ადმინისტრაციული;
- ⇨ ფინანსური მართვა; და
- ⇨ მოვლა და შეკეთება.

ადმინისტრაციული მომსახურება

- ⇨ იურისტებთან და ტექნიკურ ექსპერტებთან კონსულტაციების გავლა, რათა ბმა-ს ხელმძღვანელებმა უკეთ გაიგონ თავიანთი ფუნქციები და ორგანიზაციული საქმიანობები;
- ⇨ გენერალური ასამბლეის კრების ორგანიზება და ლოჯისტიკური საკითხების მომზადება;
- ⇨ გენერალურ ასამბლეასა და არჩეული წევრების მიერ ჩატარებულ სხვა კრებებთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის დაარქივება;
- ⇨ ბმა-ს თანამშრომლების სამუშაოზე დაქირავება, განთავისუფლება და მართვა;

[19] საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ, ნაწილი V, მუხლი 26, პარაგრაფი 7.

- ⇨ საერთო ქონების მოვლასთან დაკავშირებული ანგარიშების დაარქივება;
- ⇨ სამუშაოს შეკვეთებთან დაკავშირებული ანგარიშების მომზადება და დამუშავება;
- ⇨ შენობის კომუნალური ქსელების შეკეთებასა და შენახვასთან დაკავშირებული მომსახურეობის ხელშეკრულებები (მაგ. ელექტროობა, გათბობა, გაზი, ცხელი და ცივი წყალი, ნარჩენების გატანა, საავარიო მომსახურეობა);
- ⇨ სავალდებულო სტანდარტების შენარჩუნების უზრუნველყოფა;
- ⇨ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა;
- ⇨ ბინათმესაკუთრეთა დაზღვევის შეძენა;
- ⇨ ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოქმნილი დავის გადაწყვეტა;
- ⇨ ბმა-ს ამომრჩევლებთან დადებითი ურთიერთობების და კომუნიკაციის დამყარება და შენარჩუნება; და
- ⇨ ანგარიშებისა და სამოქმედო გეგმების მომზადება.

ფინანსურ მართვასთან დაკავშირებული მომსახურეობა

- ⇨ ბუღალტრული აღრიცხვა (შემოსავლების ფინანსური ტრანზექციები, ხარჯები, აქციები და ობლიგაციები, სხვა ვალდებულებები, საბანკო ანგარიშგების შესწორებები);
- ⇨ წლიური ბიუჯეტის მომზადება, სადაც გაწერილი იქნება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობებისა და პროექტების შესასრულებლად გასაწევი ხარჯები (ბმა-ს საერთო ქონების შენახვის, შეკეთებისა და განვითარებისთვის საჭირო სავარაუდო ხარჯები);
- ⇨ შენახვისა და შეკეთების ფონდსა და საოპერაციო ფონდში სავარაუდო შენატანების დაანგარიშება;
- ⇨ მრავალწლიანი სამოქმედო გეგმებისთვის საშუალო და მოკლევადიანი საბიუჯეტო გაანგარიშებების მომზადება, და საჭიროების შემთხვევაში შესწორებების შეტანა;
- ⇨ ბინათმესაკუთრეებისთვის ანგარიშფაქტურების გაგზავნა საერთო ქონებასთან დაკავშირებით წარმოქმნილ ხარჯებზე;
- ⇨ დამტკიცებული მომსახურეობის ხელშეკრულების საფუძველზე ანგარიშფაქტურების განაღდება;
- ⇨ თანამშრომელთა ხელფასების გადახდა; და
- ⇨ შესაბამისი გადასახადების გადახდა.

მოვლასა და შეკეთებასთან დაკავშირებული მომსახურეობა

ბევრი შენობა და ინდივიდუალური სახლი საჭიროებს მნიშვნელოვან შეკეთებას, განსაკუთრებით ძველი შენობები, რომლებსაც ყურადღება არ ექცეოდა მრავალი წლის განმავლობაში. თავიანთი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას, ბმა-ებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ ისეთი სტრუქტურების შეკეთებას, რომლემბაც შეიძლება რისკის ქვეშ დააყენონ და საფრთხე შეუქმნან ჯანმრთელობას. გახსოვდეთ, ხშირად, ბევრად უფრო იაფი ჯდება ამ სტრუქტურების დროული შეკეთება, ვიდრე იმ დამატებითი ხარჯების გაწევა, რომელიც მათი შეუკეთებლობით გამოწვეული დაზიანებისას წარმოიქნმება.

მას შემდეგ, რაც მოხდება პრობლემების განსაზღვრა, პრიორიტეტებად გაწერა და შესაბამისი ხარჯების დაანგარიშება, გენერალურ ასამბლეაზე უნდა მოხდეს მათი წარდგენა ბინათმესაკუთრეებისთვის, რათა მათ შეძლონ აღნიშნული პრობლემების განხილვა და გადასინჯვა. პროექტების პრიორიტეტებად დაყოფისა და მათი განხორციელებისთვის საჭირო ხარჯების დაანგარიშების შემდეგ, ბმა მზად არის სამოქმედო გეგმის პროექტის შესადგენად. სქმიანობის დაწყებამდე აღნიშნული სამოქმედო გეგმა უნდა წარედგინოს გენერალურ ასამბლეას განხილვისა და კენჭისყრისათვის.

სამოქმედო გეგმა

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში აღწერილია ბმა-ს საერთო ქონების შენახვის, შეკეთებისა და განვითარების წლიური სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ეტაპები. თითოეული ეტაპის უფრო ვრცელი აღწერილობა მოცემულია დოკუმენტის ქვემოთ ნაწილში. დანართი 6 მოიცავს სამოქმედო გეგმის ფორმას და ნიმუშს.

ეტაპი	აღწერილობა
1	ერთობლივ კუთვნილებაში არსებული შენობა -ნაგებობების, აღჭურვილობისა და /ან მიწის ნაკვეთისთვის სრულყოფილი ტექნიკური აუდიტის ჩატარება
2	აუდიტის შედეგების ანალიზი, რაც მოიცავს: - ყველა აუცილებელ სარემონტო სამუშაოსთან დაკავშირებული ხარჯების სავარაუდო დაანგარიშება - პრობლემის მასშტაბის განსაზღვრა ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებით, როგორიცაა უსაფრთხოება, გადაუდებლობა და შეკეთების ხარჯი
3	ქმედებების პრიორიტეტებად გაწერა იმის მიხედვით, თუ რამდენად

ეტაპი	აღწერილობა
	შეუძლია ბმა-ს ამ პრობლემის მოგვარებისთვის საკმარისი დაფინანსების უზრუნველყოფა (ეს მოიცავს ბინათმესაკუთრეთა მიერ შეგროვებულ თანხასაც)
4	შემოსავლების გენერირების შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება
5	მშენებლობასთან ან მოვლასთან დაკავშირებული პროექტის ხარჯებისა და სარგებელის შეფასება
6	შემოთავაზებული საქმიანობისა და შესაბამისი ხარჯების შეჯამება და გენერალური ასამბლეის კრებაზე ბინათმესაკუთრეთათვის წარდგენა
7	გენერალურ ასამბლეასთან ერთად აღნიშნული პროექტების პრიორიტეტებად დაყოფა და სამოქმედო გეგმის პროექტის მომზადება (სამოქმედო გეგმის ფორმა იხილეთ დანართში 6)
8	გენერალური ასამბლეის კრებაზე ბინათმესაკუთრეთა შორის კენჭისყრის ჩატარება სამოქმედო გეგმის მიღებაზე
9	გასაწევ მომსახურეობაზე წინადადებების მოპოვება მინიმუმ სამი (3) კონტრაქტორისგან, სატენდერო წინადადებების გაანალიზება და ხელშეკრულების გაფორმება კომპანიასთან, რომელიც საუკეთესო ფასს ითხოვს მომსახურეობისთვის (შესყიდვის ბრძანების ფორმა იხილეთ დანართში 7)
10	მომსახურე კომპანიის მიერ გაწეული საქმიანობის მონიტორინგი და მასთან ყოველკვირეული, ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხშირი შეხვედრა, საქმიანობასთან დაკავშირებული პროგრესის განსახილველად

ეტაპი 1: შენობა-ნაგებობების, საერთო საკუთრებაში არსებული აღჭურვილობისა და მიწის ნაკვეთის სრულყოფილი ტექნიკური აუდიტის ჩატარება

ბმა-ს დაარსების შემდეგ, მან უნდა შეადგინოს სამოქმედო გეგმა, რომელიც ბმა-ს წლის განმავლობაში საქმიანობის სწორად წარმართვაში დაეხმარება, ვინაიდან გეგმაში ასახულია ყველა დაგეგმილი პროექტი, მათი განხორციელების ვადები, და მათი დაფინანსების გზები. სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი იწყება შენობის, მისი ფუნდამენტისა და აღჭურვილობის ტექნიკური შეფასებით. ბმა-მ უნდა

დაიქირავოს ლიცენზირებული, ტექნიკურ აუდიტში სპეციალიზებული კომპანია, ან ლიცენზირებული ექსპერტი. ექსპერტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებას უნდა ერთვოდეს სამუშაოს აღწერილობა, მკაფიოდ გაწერილი პასუხისმგებლობებით. დაქირავებულმა კონტრაქტორმა უნდა მთლიანად შეაფასოს ბმა-ს საერთო ქონების მდგომარეობა, დაწყებული სარდაფიდან, სახურავის ჩათვლით. ექსპერტმა ასევე უნდა შეაფასოს წითელ ზოლში მოქცეული მიწის ნაკვეთიც. ქონების დათვალიერებისას კონტრაქტორმა უნდა დააფიქსიროს ყველა პრობლემა და წარმოადგინოს დეტალური რეკომენდაციები ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად. შემდგომ, ტექნიკოსმა უდა შეადგინოს ყველა აღწერილი პრობლემის შეკეთებისთვის აუცილებელი ხარჯთაღრიცხვა. პროცესის დასრულების შემდეგ, კონტრაქტორმა ტექნიკური ანგარიშის სახით მთელი ეს ინფორმაცია უნდა წარუდგინოს ბმა-ს. ბმა-ს ჰყავს სარემონტო საქმეებზე პასუხისმგებელი ჯგუფი, რომელიც უშუალოდ უნდა იყოს ჩართული ტექნიკური აუდიტის ჩატარების პროცესში.

ეტაპი 2: აუდიტის შედეგების ანალიზი

შემდგომ ეტაპზე, ბმა-ს თავმჯდომარემ და არჩეულმა გამგეობამ უნდა გააანალიზონ ტექნიკური აუდიტის შედეგები. ეს მოიცავს ტექნიკური აუდიტის ანგარიშში აღწერილი პრობლემების განხილვას და დადგენილი პრობლემების შესაკეთებლად საჭირო ხარჯთაღრიცხვის შესწავლას. ასევე, მათ უნდა განსაზღვრონ თითოეული პრობლემური საკითხის მასშტაბი ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებით, როგორიცაა უსაფრთხოება, გადაუდებლობა და შეკეთების ხარჯი. თითოეული პრობლემის კატეგორიებად დაყოფა და შემდგომ მათი ანალიზი ბმა-ს დაეხმარება უფრო ეფექტიანად განახორციელოს ხარჯებისა და სარგებლიანობის შეფასება. გარდა ამისა, ამგვარი მეთოდი ბმა-ს დაეხმარება ერთმანეთისგან გამიჯნოს პრობლემები, რომლებიც დაუყოვნებელ მოგვარებას საჭიროებენ, და საკითხები, რომელთა გამოსწორებაც გრძელვადიან პერსპექტივაშიც შეიძლება.

აუცილებელია წონასწორობის დაცვა პრობლემის ხარჯსა და მისი მოგვარების გადაუდებლობას შორის.

აუცილებელია ამ წონასწორობის გათვალისწინება, ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი პრობლემა შესაძლოა დაუყოვნებელ მოგვარებას საჭიროებდეს, მასთან დაკავშირებული ხარჯი შეიძლება ძალიან მაღალი იყოს და ბმა-ს არ შეეძლოს ახლო მომავალში მისი აღმოფხვრა.

ეტაპი 3: ქმედებების პრიორიტეტებად გაწერა იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლია ბმა-ს ამ პრობლემის მოგვარებისთვის აუცილებელი დაფინანსების უზრუნველყოფა

პრობლემების პრიორიტეტებად დაყოფა მნიშვნელოვანია იმის განსასაზღვრავად, თუ რამდენად რეალურად შეუძლია ბმა-ს მისი აღმოფხვრა. ხშირად, როდესაც რომელიმე პრობლემის მოგვარება გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს, მის შეკეთებასთან დაკავშირებული ხარჯიც ძალიან მაღალია. ამგვარ სიტუაციაში, ბმა-მ სერიოზულად უნდა განიხილოს გადაუდებელი პრობლემების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაფინანსების შესაძლებლობები. ამ საქმიანობის არსი მგდოგომარეობს იმაში, რომ პრობლემები პრიორიტეტებად უნდა დავყოთ მათი ფინანსურად განხორციელებადობის საფუძველზე და უნდა შეგვეძლოს საკითხების დაჯგუფება იმის მიხედვით, თუ რა დროში არის მათი მოგვარება შესაძლებელი, მოკლე ვადაში, შორეულ პერსპექტივაში, და რამდენიმე წლის განმავლობაში.

ეტაპი 4: შემოსავლების გენერირების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მოძიება

როგორც კი ბმა განსაზღვრავს თითოეული პრობლემის მოგვარებისთვის საჭირო ხარჯებს და იმას, თუ რამდენად სასწრაფოა მისი მოგვარება, ბმა უნდა შეუდგეს დაფინანსების გარეშე წყაროების მოძიებას სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად, ვინაიდან დასაწყის ეტაპზე მაინც, ნაკლებად შესაძლებელია თავად შეძლოს მთლიანი პროექტის დაფინანსება. დაფინანსების გარეშე წყაროებად შეიძლება მოვიაზროთ: (1) შემოსავლების მომტანი საქმიანობების შესახებ ინფორმაციის მოკვლევა; (2) ადგილობრივი თვითმმართველობების ფონდების მოძიება, რომელთა მიზანიცაა ბმა-ს საქმიანობის ხელშეწყობა; (3) სასესხო ხელშეკრულებების გაფორმება (4) საერთო ქონების გაქირავება ან გაყიდვა.

ეტაპი 5: შემოთავაზებული სამუშაოების ხარჯებისა და სარგებლის შეფასება

შემდეგ ეტაპზე უნდა ჩატარდეს ხარჯებისა და სარებელის ანალიზი. ამგვარი ანალიზის დროს ხდება პრობლემის აღმოფხვრასთან დაკავშირებული დადებითი მხარეების შედარება მის უარყოფით მხარეებთან და სავარაუდო ხარჯებთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ღირს თუ არა პროექტის განხორციელება იმ ხარჯად, რაც მის შესრულებაზე უნდა გავიღოთ? ხარჯებისა და სარგებელის ანალიზი აჩვენებს თითოეული ოჯახის მიერ დროთა განმავლობაში გაკეთებულ დანაზოგს. დანართში 8

წარმოდგენილია ენერგო-ეფექტიანობასთან დაკავშირებული პროექტების ნიმუში, რომელიც ბმა-ს მხრიდან თბო-იზოლაციაში ინვესტირებას მოითხოვს. აღნიშნული აქტიობა რამდენიმე წლის განმავლობაში ამოიღებს მასზე გაწეულ ხარჯებს და ბინათმესაკუთრეებს ყოველწლიურად ხარჯების 20% დაუზოგავს პროექტის დაწყებიდან პირველივე წელს.

ეტაპი 6: შემოთავაზებული სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული ხარჯების შეჯამება და გენერალური ასამბლეის კრებაზე წარდგენა

მას შემდეგ, რაც ბმა-ს არჩეული მოხელეები დაასრულებენ 1-5 ეტაპზე აღწერილ საქმიანობას, თავმჯდომარემ უნდა მოიწვიოს გენერალური ასამბლეის კრება, რათა წარუდგინოს შემოთავაზებული სამუშაოების შესახებ შემაჯამებელი ინფორმაცია, რაც თავისთავად მოიცავს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებისა და სარგებელის ანალიზს. აღნიშნული დოკუმენტების გავრცელება უნდა მოხდეს დაბეჭდილი სახით, ხოლო მათ შესახებ პრეზენტაცია PowerPoint-ში, ან სხვა კარგად გასაგებ ფორმატში უნდა მომზადდეს, რათა ბინათმესაკუთრეებმა შეძლონ პრეზენტაციის კარგად გაგება და პროექტების დაჯგუფება პრიორიტეტების მიხედვით.

ეტაპი 7: გენერალურ ასამბლეაზე შესასრულებელი სამუშაოების პრიორიტეტებად დაჯგუფება და სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება

მას შემდეგ, რაც თავმჯდომარე და არჩეული გამგეობა ბინათმესაკუთრეებს გააცნობს ყველა შესაძლო პროექტის სარგებლიანობას და მათ განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ისინი ელექტორატს თავიანთ რეკომენდაციებს წარუდგენენ. ამის შემდეგ, გენერალური ასამბლეა კრებაზე ერთობლივად შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. (სამოქმედო გეგმა იხილეთ დანართში 6)

ეტაპი 8: გენერალური ასამბლეის კრებაზე სამოქმედო გეგმის მიღებაზე ხმის მიცემა

სამოქმედო გეგმის პროექტის შედგენის შემდეგ, თავმჯდომარე იწვევს ბინათმესაკუთრეებს, რათა მათ ხმა მისცენ შემოთავაზებული სამოქმედო გეგმის მიღება / არ მიღებას გენერალური ასამბლეის კრებაზე. კენჭისყრა უნდა ჩატარდეს მარტივად. ბმა-ს თავმჯდომარეს შეუძლია ბინათმესაკუთრეთა შორის შეარჩიოს და დანიშნოს ხმის მიცემის მონიტორები/დამკვირვებლები, რათა მათ დახმარება გაუწიონ ხმების დათვლაში. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა მაშინ, როდესაც ბინათმესაკუთრეთა რიცხვი დიდია. თუ ბმა-ს წესდება სხვაგვარად არ განსაზღვრავს, სამოქმედო გეგმის დასამტკიცებლად, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით,

საჭიროა ხმების მინიმუმ 2/3.[20] თუ სამოქმედო გეგმა ხმათა 2/3-ით დამტკიცდა, მაშინ ის ჩაითვლება საბოლოოდ, და მისი შეცვლა შუძლებელი იქნება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ გენერალური ასამბლეა არ შეიტანს მასში შესწორებებს.

ეტაპი: 9 გასაწევ მომსახურეობაზე სატენდერო წინადადებების მოპოვება მინიმუმ სამი (3) კონტრაქტორისგან და საუკეთესო ფასების წარმომდგენ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმება

სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდეგ, ბმა-მ უნდა იზრუნოს მომსახურეობის შესყიდვაზე, იმ რესურსების ფარგლებში, რაც ბმა-ს სამუშაოების დაწყებაზე ეყოფა. საქონლისა და მომსახურეობის შეძენა მრავალეტაპიანი პროცესია, თუ მისი ღირებულება აღემატება გარკვეულ თანხას, რომლის ზღვარსაც თავად ბმა ადგენს. ეს განმარტებულია ქვემოთ:

სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება. როგორც კი ბმა პრიორიტეტებად დააჯგუფებს იმ პროექტებს, რომელთა განხორციელებაც მას სურს, თავმჯდომარემ და ბმა-ს შერჩეულმა წარმომადგენლებმა უნდა მოამზადონ სატენდერო დოკუმენტაცია. ეს მოიცავს პროექტის აღწერილობას და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ტექნიკური დეტალების მაქსიმალურად სრულყოფილად გაცნობას ტენდერში მონაწილე კომპანიებისთვის. სატენდერო განცხადებაში ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, თუ ვის შეუძლია მასში მონაწილეობის მიღება. განცხადება ასევე უნდა მოიცავდეს სატენდერო წინადადების შეფასების კრიტერიუმებს. გარდა ამისა, განაცხადში უნდა შევიდეს სატენდერო წინადადების ჩაბარების პირობები და კონკურსანტების მიერ სარეკომნდაციო წერილების წარდგენის აუცილებლობა. თითოეულ კრიტერიუმს უნდა ჰქონდეს მისი მნიშვნელობის მიედვით მინიჭებული ქულა. გაითვალისწინეთ, რომ კაპიტალური პროექტების შედგენა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე მცირე მოცულობის პროექტებისა. მსხვილ პროექტებზე მუშაობისას, თუ ბმა-ს წევრთა შორის არ არის ბინათმესაკუთრე, რომელსაც შესაბამისი ტექნიკური ცოდნა-გამოცდილება გააჩნია, მიზანშეწონილია ექსპერტის დაქირავება, რომელიც პროექტისთვის აუცილებელი სპეციფიკაციების განსაზღვრაზე იმუშავებს.

კონტრაქტორის შერჩევა. განსაზღვრულ ვადებში წარმოდგენილი ყველა სატენდერო წინადადება უნდა შეფასდეს და მიენიჭოს შესაბამისი ქულები, იმ შესაბამისობისა და შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც *სატენდერო წინადადებების შემოტანაზე მოთხოვნაში* იყო განსაზღვრული (მოთხოვნის ნიმუში იხილეთ

[20] საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ, ნაწილი IV, მუხლი 23, პარაგრაფი 2.

დანართში 9). ამისათვის ბმა-მ უნდა ჩამოაყალიბოს სატენდერო წინადადებების განმხილავი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში უნდა შევიდნენ თავმჯდომარე და ბმა-ს სხვა ბინათმესაკუთრეები. კომიტეტმა უნდა გახსნას ყველა წინადადება, ყურადღებით შეისწავლოს ყველა მათგანი უკვე განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, გადაამოწმოს სარეკომენდაციო წერილები და ამის შემდეგ მიანიჭოს მათ ქულები სატენდერო წინადადებების მოთხოვნაში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. ის კონკურსანტი, რომელიც ყველაზე მაღალ ქულებს მოიპოვებს, დასახელდება გამარჯვებულად. ამის შემდგომ, კომიტეტი მოამზადებს სატენდერო წინადადების შეჯამებას, დაურთავს მას რეკომენდაციას და დასამტკიცებლად წარუდგენს გენერალურ ასამბლეას.

შედეგების წარდგენა ბმა-ს გენერალური ასამბლეის კრებაზე. შერჩევის კომიტეტი თავის რეკომენდაციებს წარმოადგნეს გენერალური ასამბლეის კრებაზე. პრეზენდაციის შემდეგ დრო ეთმობა კითხვა-პასუხის რეჟიმს. მნიშვნელოვანია, რომ შერჩევის კომიტეტმა თავისი არჩევანი დაასაბუთოს პროექტის რენტაბელურობის პერსპექტივიდან, ვინაიდან ბინათმესაკუთრეები დაინტერესებულები არიან თავიანთი ფულადი სახსრების მაქსიმალურად ეფექტურად და ეფექტიანად დახარჯვაში. ბინათმესაკუთრეებთან დისკუსიის დასრულების შემდეგ, გენერალურმა ასამბლეამ კენჭისყრაზე უნდა დააყენოს საკითხი, რათა გადაწყვიტოს, თუ რომელ კომპანიას გაუფორმებს ხელშეკრულებას.

ხელშეკრულების მომზადება: კონტრაქტორი კომპანიის შერჩევისთანავე, ბმა მზადაა ხელშეკრულების მოსამზადებლად. როგორც წესი, ხელშეკრულებაში აღწერილი უნდა იყოს მონაწილე მხარეები, თითოეული მხარის პასუხისმგებლობა პროექტის განხორციელების პროცესში, მაგ. ვადები, ფასები, ხარისხის კონტროლის მექანიზმი, მონიტორინგი, ჩაბარების პროცედურები და საჯარიმო სანქციები. (ხელშეკრულების / მომსახურეობის ხელშეკრულების ფორმა იხილეთ დანართში 10).

ეტაპი 10: პროექტის განხორციელების მონიტორინგი

აუცილებელია პროექტთან დაკავშირებული სამუშაოების აქტიურად მონიტორინგი. არსებობს საამშენებლო პროექტების განხორციელებაზე მონიტორინგის სულ მცირე ორი გზა - შიდა და გარე. ბევრ ქვეყანაში, საამშენებლო პროექტებზე მონიტორინგს ახორციელებს გარეშე, დამოუკიდებელი და ლიცენზირებული მონიტორი. ამგვარი პრაქტიკა რეკომენდირებულია, ვინაიდან ის უზრუვნელყოფს მიუკერძოებლობასა და თავიდან გვაცილებს სერვისის მიმწოდებელ საამშენებლო კომპანიასთან ინტერესთა კონფლიქტს.

საქართველოს ბმა-ები დღესდღეობით ახორციელებენ პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც საამშენებლო სამუშაოების მსვლელობაზე მონიტორინგს შიდა შემფასებლები ახორციელებენ. ამ პრაქტიკას ამაგრებს არგუმენტი, რომ მშენებლობა ხორციელდება ბმა-ს სახელით, შესაბამისად, მონიტორინგის უმაღლეს დონეზე ჩატარდება, ვინაიდან ბმა დაინტერესებულია საუკეთესო შედეგი მიიღოს მის მიერ გაწეულ ინვესტიციაზე.

თუ ბმა გადაწყვეტს თავისი საამშენებლო პროექტების მონიტორინგს, რეკომენდირებულია, რომ მონიტორინგი განახორციელოს პირმა, ან კომიტეტმა, რომელსაც მიმდინარე მშენებლობის ტიპის შესაბამისი ცოდნა და უნარები გააჩნია. ასევე, მონიტორებს უნდა ჰქონდეთ საამშენებლო სამუშაოებზე რეგულარულად დაკვირვებისთვის საკმარისი დრო და რაც ყველაზე მთავარია, სასურველია მათ თან ახლდეს ბმა-ს/კომიტეტის ნდობით აღჭურვილი პირი. მაგალითად, თუ ბმა-ს ჰყავს გუნდი, რომელიც პასუხისმგებელია ქონების მოვლაზე, ამ გუნდის წარმომადგენელს შეუძლია შეასრულოს მონიტორის ფუნქცია, ეს კი კორუფციის შესაძლებლობებს შეამცირებს.

მიუხედავად იმისა, თუ მონიტორინგის რომელ მიდგომას აირჩევს ბმა (შიდა თუ გარე) რეკომენდირებულია ბმა-ს თავმჯდომარის, კონტრაქტორი კომპანიისა და მონიტორის ყოველკვირეული, ან წინასწარ შენთანხმებული გრაფიკით შეხვედრა, რათა განიხილონ სამუშაოს შესრულების პროგრესი, პრობლემები და/ ან დაგვიანების მიზეზები, და მათი გადაჭრის გზები. საამშენებლო სამუშაოების მსვლელობის შესახებ ასევე უნდა ეცნობოთ ბინათმესაკუთრეებს და ეს საკითხი განხილული და ოქმებში დოკუმენტირებული უნდა იქნას გენერალური ასამბლეის კრების ოქმში.

ეტაპი 11: პროექტის სარგებელის გაანალიზება

მიზანშეწონილია პროექტის შედეგების გაანალიზება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ იმის დასადგენად, მოხდა თუ არა ყველა დასახული შედეგის მიღწევა. ბმა-ის ნებისმიერი პროექტის ამოცანას წარმოადგენს ადგილობრივი მაცხოვრებლების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, სახლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სამომხმარებლო მოთხოვნების და ასოცირებული ხარჯების შემცირება. ეს ანალიზი გულისხმობს ადრე გაწეული ხარჯების მიმდინარე ხარჯებთან შედარებას. მაგალითად, თუ ბმა სახსრების ინვესტირებას აკეთებს სახურავის შეცვლაში და შენობის ფასადის განცალკევებაში, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ აუცილებელია ინვესტიციის განხორციელებამდე და მის შემდეგ ელექტროენერგიის და გათბობის ხარჯების შედარება. (იხილეთ დანართი 7, პრაქტიკული მაგალითი იმის შესახებ,თუ როგორ გაუმჯობესდა ენერგოეფექტურობა და შემცირდა ბინათმესაკუთრეთა ხარჯები ბმა-ის მიერ განხორციელებული ინვესტიციის შემდეგ). ცვლილების ინდიკატორების გამოვლების შემდეგ, მაგ., პროექტის დასრულებისთანავე თითოეული ბინათმესაკუთრის ხარჯი 35 %-ით შემცირდა, ზემოაღნიშნული ანალიზი უნდა წარედგინოს საერთო კრებას და გავრცელდეს ბინათმესაკუთრეთა შორის. საჭიროების შემთხვევაში, ამ დანაზოგების გამოყენება შეიძლება სესხის დასაფარად. აუცილებელია ამ ინფორმაციის განთავსება შედეგების რეგულარულ ანგარიშებში, მაგ., საინფორმაციო ბიულეტენები, და მათი ბინათმესაკუთრეებისათვის გაზიარება. ეს ხელს შეუწყობს მათ მონაწილეობას ბმა-ის მომავალ საქმიანობაში, რომელიც მიზნად ისახავს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას მრავალბინიან სახლში.

ბიუჯეტი

წლიური ბიუჯეტის შემუშავება წლიური სამოქმედო გეგმის განვითარების განუყრელ ნაწილს წარმოადგენს. ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იქნეს შემოსავალი, ხარჯები და ვალდებულებები 12თვიანი პერიოდისათვის. ბმა-ის ფუნქციონირების პირველ წელს, სავარაუდოდ, შეუძლებელი იქნება ბიუჯეტის შემუშავება ამისათვის საკმარისი ინფორმაციის არარსებობის გამო. ჩვეულებრივ, მინიმუმ ერთი წელია საჭირო ასეთი ინფორმაციის მოსაპოვლებლად, რომლის შესაბამისად შესაძლებელი იქნება იმის დადგენა, თუ რა თანხებია ყოველწლიურად საჭირო საერთო ქონების მოვლა-პატრონობისათვის. აქედან გამომდინარე, პირველ წელს, მბა-მ უნდა შეაგროვოს საერთო ქონების მოვლა-პატრონობასთან

დაკავშირებული ხარჯების ამსახველი ყველა ქვითარი, გააკეთოს ცალკე ჩანაწერი ყველა არსებულ ქვითართან დაკავშირებით და დააიანგარიშოს სხვადასხვა სახის ხარჯების საერთო ოდენობა წლის განმავლობაში. ეს ოდენობა უნდა დაემატოს ტექნიკურ აუდიტში განსაზღვრულ პრიორიტეტების საორიენტაციო ხარჯებს.

ფისკალურის წლის დაწყებამდე ორი თვით ადრე, მბა-ამ უნდა შეიმუშავოს 12თვიანი (წლიური) ბიუჯეტი, რომელიც იწყება ფისკალური წლის პირველ თვეს, ანუ ბიუჯეტის შემუშავება უნდა მოხდეს პირველ ნოემბრამდე მისი პირველ იანვარს ძალაში შესვლის შემთხვევაში. ყველა ბინათმესაკუთრემ უნდა მიიღოს ამ ბიუჯეტის ასლი და მისთვის ცნობილი უნდა იყოს მის მიერ გასაწევი ხარჯი, რომლის გადახდა წლის განმავლობაში ყოველთვიურად მოხდება.

ბმა-ის თავმჯდომარეს ან ბმა-ის მიერ დაქირავებული ქონების ადმინისტრატორს/მენეჯერს ეკისრება პასუხისმგებლობა ბიუჯეტის პროექტის მომზადებასთან დაკავშირებით. თუ ბიუჯეტის პროექტს ბმა-ის სახელით მოქმედი ქონების ადმინისტრატორი/მენეჯერი მოამზადებს, ბიუჯეტის პროექტი განსახილველად უნდა წარედგინოს ბმა-ის თავმჯდომარეს და გამგეობას, რომლებიც, თავის მხრივ, მას დასამტკიცებლად წარუდგენენ ბინათმესაკუთრეებს საერთო კრებაზე.

წლის ბოლოს, ბმა-ის მმართველმა ჯგუფმა უნდა შეადაროს ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავალი და ხარჯები წინა წლის შემოსავლებს და ხარჯებს. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული ბინათმესაკუთრებეებისთვის. საბუღალტრო წიგნებში გატარებული ყველა შემოსავალი და ხარჯი უნდა გადაითვალოს და განაწილდეს ბინათმესაკუთრეთა შორის. ხარჯების განაწილება ბინათმესაკუთრეთა და არასაცხოვრებელი ფართის მფლობელებს შორის ხდება საერთო ქონებაში არსებული მათი წილის პროპორციულად, თუ რაიმე სხვა არ არის გათვალისწინებული ბმა-ის წესდებაში, მაგ., არსებობს ისეთი ბმა-ის წესდებები, რომელთა მიხედვით ხარჯების განაწილება ხდება ბინაში მცხოვრები ადამიანების რაოდენობის შესაბამისად.ნებისმიერ შემთხვევაში, ბმა-ის ხარჯების დაანგარიშება ბმა-ის წესდების ან დამხმარე დებულებების მიხედვით უნდა მოხდეს.

მოკლევადიანი ფინანსური დაგეგმარება

სათანადო დაგეგმარების და ყველა ბინათმესაკუთრეთა მონაწილეობის პირობებში, ბმა მიაღწევს მრავალბინიაბი სახლის ან იმ სამეზობლოს, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფას. ამის გასაკეთებლად,

ბმა-ის მმართველმა ჯგუფმა და წევრებმა უნდა დაგეგმონ და უზრუნველყონ საერთო ქონების და შენობის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული მომსახურების სათანადოდ ფუნქციონირება ყოველთვიურად შენატანების გაკეთების და დაფინანსების სხვა წყაროების გამოვლენის მეშვეობით, მაგალითად, დასუფთავება, ლიფტების შეკეთება და რეგულარული მოვლა-პატრონობა, ელექტროენერგიის მომარაგება საერთო სარგებლობის ფართებისათვის, თოვლის აღება, მიმდინარე მცირე სარემონდო სამუშაოები, ავარიული მომსახურება, ქსელების და განათების გაყვანა შესაბამისი სტრანდარტების და დებულებების შესაბამისად, თუ ამის მოთხვონა არსებობს. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებული პროგნოზირებული ხარჯების გათვალისწინება ბიუჯეტში უნდა მოხდეს.

ბმა-ის მმართველმა ჯგუფმა და ბინათმესაკუთრეებმა წლიურ ბიუჯეტში უნდა შეიტანონ ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ მენეჯმენტთან (სამოქმედო გეგმები, ფინანსური აუდიტი, გადასახადები, სესხები და ა.შ.) და ადმინისტრაციული სახის დავალებებთან (კორესპონდენციის წარდგენა ბინათმესაკუთრეებისათვის, მოიჯარეებისათვის, სხვა ორგანიზაციებისათვის და კომპანიებისათვის; საერთო კრებების და გამგეობის შეხვედრების ოქმების მომზადება; მიმწოდებლებთან ხელშეკრულებების და კონტრაქტების მომზადება). რასაკვირველია, ზემოაღნიშნული სამუშაოები და მათთან დაკავშირებული ხარჯები დამოკიდებულია ბმა-ის მოთხოვნებზე მომსახურების გამწევი სხვა პირების გამოყენების აუცილებლობასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ბმა ხელშეკრულებით ახორციელებს ამ მომსახურებებს, წლიურ ბიუჯეტში ასეთი მომსახურების ხარჯების დაანგარიშებისას მან უნდა იხელმძღვანელოს წარსულში გაწეული მზგავსი მომსახურების ხარჯებით ან მოიპოვოს ინფორმაცია ამ მომსახურებასთან დაკავშირებული ფასის შესახებ 3 დამოუკიდებელი წყაროდან.

საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ფინანსური დაგეგმარება

ზოგჯერ არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ბმა-ის მიერ გამოვლენილია შენობის საერთო სარგებლობის ფართების მაშტაბური სარემონტო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა, მაგრამ მათი განხორციელება მაშინვე ვერ ხდება ფინანსური სახის შეზღუდვების გამო.ამ შემთხვევებში, აუციელებელია საშუალო- და გრძელვადიანი ფინანსური და საპროექტო გეგმების შემუშავება.

როგორც ეს არაერთხელ აღინიშნა ამ სახელმძღვანელოში, მნიშვნელოვანია ექსპერტის მოწვევა შენობის მდგომარეობის ტექნიკური შეფასების განხორციელების მიზნით. ეს შეფასება ბმა-ს საშუალებას მისცემს ნათელი წარმოდგენა იქონიოს

შენობის შესახებ და მის შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოების საჭიროებაზე და ხარჯებზე. საშუალო- და გრძელვადიანი ფინანსური გეგმების შემუშავება ხდება ზემოაღნიშნული შეფასებების ტექნიკურ განხორციელებადობის ანალიზზე დაყრდნობით. ამ სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით ფინანსური გეგმების შემუშავებისას, ბმა-მ უნდა გაითვალისწინოს ტექნიკური ხელსაწყოებების და საჭირო მაგრეგის შეძენის და კვალიფიცირებული პროფესიონალების დაქირავების ხარჯები ამ სამუშაოების დაპროექტების და შესრულების მიზნით. ბიუჯეტის, რომელშიც ეს ხარჯებია გათვალისწინებული, დამტკიცების შემდეგ, ადმინისტრატორმა ან იმ პირმა, რომელიც პასუხისმგებელია ბმა-ის ხარჯებზე, უნდა უზრუნველყოს ამ ხარჯების ბიუჯეტთან შესაბამისობა. წლის განმავლობაში, ბმა-მ რეგულარულად უნდა განაახლოს ბიუჯეტი და შეადაროს ბიუჯეტში განსაზღვრული ხარჯები და ფაქტობრივ შემოსავლებლებს და ხარჯებს. მუდმივი მონიტორინგი დაეხმარება ბმა-ს დაიცვას ბიუჯეტი და წლის ბოლოს არ აღმოჩნდეს ბიუჯეტის დეფიციტის წინაშე

ფინანსური ოპერაციების განხორციელება და საბუღალტრო ჩანაწერები

მიზანშეწონილია ბანკის ანგარიშის გახსნა იმ შემთხვევაში, თუ ბმა აპირებს ფინანსური ოპერაციების განხორციელებას და მოსაკრებლების და სხვა შემოსავლების მობილიზებას. საბანკო ანგარიშის არსებობის უპირატესობაა ფინანსური ოპერაციების გამჭირვალეობა; აუცილებელია ყველა ფინანსური ოპერაციების დადასტურება და სათანადოდ წარმოაება, რაც მნიშვნელოვანია ბინათმესაკუთრეებისათვის, რომლებიც ამ ფონდში შენატანებს აკეთებენ. მაგალითად, სანანკო ანგარიშის შემთხვევაში, ბინათმესაკუთრეთა ყოველთვიური შენატანები ნათლად არის წარმოდგენილი ინტერნეტ-ბანკინგში და ბმა-ის თავმჯდომარემ შეიძლება ადვილად აკონტროლოს ბინათმესაკუთრეთა მიერ შემოტანილი თანხები. იმ შემთხვევაში, თუ ბინათმესაკუთრე დროულად არ შემოიტანს თანხას, მას ამის შესახებ მბა-ის თავმჯდომარემ ან დაქირავებულმა ადმინისტრატორმა შეხსენება უნდა გაუგზავნოს. თუ ბინათმესაკუთრე უარს აცხადებს შენატანის გაკეთებაზე, მას წესდებაში დადგენილი ჯარიმა უნდა დაეკისროს.ჯარიმის სხვადასხვა სახეობა არსებობს, რომელთა გამოყენება ინდივიდუალური ბმა-ის პრეროგატივაა. მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყნებში, სამოქალაქო კოდექსში განიხილება ის ჯარიმები, რომლებიც ეკისრებათ არაგადამხდელებს.მაგალითად, სლოვაკეთის სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია თითოეული დაგვიანებული დღისათვის მთლიანი თანხის 0.5 % გადახდა დროულად შენატანის არგაკეთების შემთხვევაში. .

საბანკო ანგარიშის არსებობის სხვა უპირატესობა შეიძლება იყოს მომსახურების გამწევი პირებისათვის გადახდილი თანხების ადვილად გაკონტროლება და ბინათმესაკუთრებისათვის წარდგენა. მნიშვნელოვანია ბინათმესაკუთრეების რეგულარულად ინფორმირება შემოსავლების, ჯარხების და ბიუჯეტის ბალანსის შესახებ მათი ნდობის შესანარჩუნებლად. წლის ბოლოს, ფინანსური ინფორმაცია და შესრულებული და მიმდინარე პროექტების მოკლე მიმოხილვა წარდგენილი უნდა იქნეს საერთო კრებისათვის.

დაფინანსება

ბინათმესაკუთრეთა პასუხისმგებლობაა ბმა-ის იმ ფონდში შენატანების განხორციელება, რომლის გამოყენება ხდება ბმა-ის მართვის, ფუნქციონირების, მოვლა-პატრონობის და სარემონტო ხარჯების დასაფარად.[21] გადასახდელი ოდენობის განსაზღვრა უნდა მოხდეს ბინათმესაკუთრეების მიერ და ჩაიწეროს ბმი-ის წესდებაში და საერთო კრების დამტკიცებულ ოქმში. ზემოაღნიშნულის ბმა-ის წესდებაში გათვალისწინება მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენს, რადგანაც იგი შეიძლება მიჩნეული იქნეს სარკვეულ გარანტიად ბინათმესაკუთრეთა მხრიდან, ანუ მათ მიერ აღებული ფინანსური ვალდედულება ნამდვილად იქნება გადახდილი, განსაკუთრებით ის ვალდებულები, რომლებიც დაკავშირებულა გრძევლვადიან ინფრასტრუქტურის პროექტების განხორციელებასთან.

ბინათმესაკუთრეთა შენატანების გარდა, ბბმ-მ უნდა შეეცადოს სხვა წყაროებიდან იმ სახსრების მოზიდვა, რომლებიც საჭიროა სარემონტო, საექსპლუატაციო და ინფრაქტურის განვითარების სამუშაოების დასაფინანსებლად, თუ ამისათვის საჭირო ხარჯები აღემატება ბინათმესაკუთრეთა შენატანებიდან გენერირებილ შემოსავალს. დაფინანსების სხვა წყაროების მაგალითების არაკომერციული ეკონომიკური საქმიანობის შემოსავალი, ადგილობრივი თვითმართველოების დახმარება და სესხები.

[21] საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეტა შესახებ, ნაწილი IV, 21-მუხლის, 1.დ) პუნქტი.

შენიშვნა: სავალდებულოა საქართველოს საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის გავლა შემოსავლების მიღებაზე ორიენტირებული საქმიანობის დაწყებამდე. ბმა-ს პასუხისმგებლობა ეკისრება ზემოაღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა გადასახის გადახდაზე. ფინანსების სათანადოდ აღრიცხვა მნიშვნელოვანია და საჭიროა გამჭირვალეობის უზრუნველყოფის მიზნით.

არაკომერციული ეკონომიკური საქმიანობა

ბმა-მ შეიძლება განახორციელოს შემოსავლების მიღებაზე ორიენტირებული ნებისმიერი საქმიანობა, თუ ამას საქართველოს კანონმდებლობა არ გრძალავს.[22] ზემოაღნიშნული მოიცავს შემოსავლების მიღებას არაეკონომიკური საქმიანობიდან, თუ მიღებული შემოსავალი გამოიყენება ბმა-ის წესდებაში აღწერილი მიზნებისათვის.

არაკომერციული ეკონომიკური საქმიანობა გულისხმობს საერთო საკუთრებაში არსებული ქონების გაქირავებას და გაყიდვას, მაგ., ადგილი სახურავზე, სარდაფში, მიწის ნაკვეთი და ნებისმიერი სხვა ბმა-ის საერთო ქონება. ამის სპეციფიკური მაგალითებია ფასადის კედლების გაქირავებას რეკლამისათვის, საერთო საკუთრებაში არსებული ოთახების მაღაზიებისათვის და სილამაზის სალონებისათვის მიქირავება, საერთო საკუთრებაში არსებული სათბურების გამოყენება ბოსტნეულის და მსგავსის მოსაყვანად და გასაყიდად, საერთო საკუთრებაში არსებული დარბაზების გაქირავება სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარარებლად. ბმა-ის ბინათმესაკუთრეებმა შეიძლება მიაქირავონ შენობაში არსებული ფართი ამ ორგანიზაციებს, მაგრამ ქირის გადახდა უნდა მოხდეს ბმა-სათვის და ეს თანხა გამოყენებული უნდა იქნეს შესაბამისი სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად ან საერთო ქონების მოსავლელად როგორც ეს ბმა-ის წესდებაში არის განსაზღვრული.

ადგილობრივი თვითმართველიბის ორგანოების დაფინანსება

საქართველოში ზოგიერთი ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები აფინასებენ ბმა-ის ჩამოყალიბებას ამ პროცესის სტიმულირების მიზნით. ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების დაფინანსება ეხმარება მბა-ებს საჭირო სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად და საერთო ქონების შემდგომ განვითარებას. ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების დაფინასების

[22] საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა შესახებ, ნარილი IV, მე-16 მუხლი, მე-2 პუნქტი

მაგალითებია სახურავის შეცვლა, ლიფტის შეკეთება, გზების მოკირწყვლა, სპორტული მოედნების მოწყობა, შენობაში გაზის მილების გაყვანა, ნაგვის ყუთების შეძენა.

მუნიციპალიტეტები, რომლებსაც ბმა-სათვის დაფინასება გააჩნიათ, უმეტეს შემთხვევაში სახსრების გამოყოფის თანხმობამდე ითხოვენ ბმა-ის თანადაფინანსებას. პროექტის თანადაფინანსებით, ბმა-ები მზაობას ადასტურებენ, დაეხმარონ თავის თავს ფინანსური თანადაფინასების მეშვეობით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ბმა-ის ინვესტიცია ხელს უწყობს ბინათმესაკუთრეთა მოტივირებას მათ საკუთრების არსებული ქონების მოვლაში და განვითარებაში ,მონაწილეობის მიღების კუთხით.

ზოგიერთ შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებისათვის შეიძლება მისაღები იყოს არაფინანსური სახის თანამონაწილეობა. ეს დამოკიდებულია სახსრების არსებობაზე და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების უფლებამოსილებაზე ამ თხოვნასთან დაკავშირებით. მაგა9

ითად, მუნიციპალიტეტმა შეიძლება გადაწყვიტოს სამშენებლო მასალების შესყიდვა, რომელიც აუცილებელია ბმა-ის სახურავის ან ღობის შესაკეთებლად, ბმა-ის წევრებმა კი, შეიძლება ფიზიკური შრომა გაწიონ სახურავის გადახურვის და ღობის შეკეთების დროს.

ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების დაფინანსების მიღებისათვის, ბინათმესაკუთრეებმა უნდა მოახდინონ მობილიზიაცია მბა-ის ჩამოყალიბების მიზნით. ამის შემდეგ, ბმა უნდა დაუკავშირდეს შესაბამის ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოს იმის დასადგენად, თუ რა სახსრებია ხელმისაწვდომი. ასეთი სახსრების არსებობის შემთხვევაში, ბმა-მ უნდა მოითხოვოს შესაბამისი განცხადების ფორმა და დაადგინოს განცხადების შეტანის ბოლო ვადა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმართველობის პროექტის დაფინანსება განსხვავდება მუნიციპალიტეტის პროექტებისაგან, ორივე შემთხვევაში ძირითადად ითხოვენ შემდეგი ინფორმაციის წარდგენას:

- ⇨ თავფურცელი ბმა-ის საკონტაქტო ინფორმაციით;
- ⇨ პრობლემის აღწერილობა;
- ⇨ პრობლემის მოსაგვარებლად შემუშავებული პროექტის დეტალური აღწერილობა;
- ⇨ პროექტის ფასის შეფასება ლიცენზირებული საპროექტო კომპანიისგან;

- ⇨ ბმა-ის თავმჯდომარის და გამგეობის წევრების სია ხელმოწერების, მისამართების, სატელოფონო ნომრების და პირადობის მოწმომების ნომრების ჩათვლით;
- ⇨ საბანკო განაცხადი იმ თანხის მითითებით, რომელიც არსებობს თანადაფინანსებისათვის.

განცხადების მომზადების და წარდგენის შემდეგ, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანო განიხილავს განცხადებას და იღებს გადაწყვეტილებას პროექტის დაფინასების შესახებ. მე-12 დანართში მოცემულია მუნიციპალიტეტის განცხადების ფორმის ნიმუში.

შენიშვნა: ლიმიტირებული დაფინასების პირობებში, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების დაფინანსება უახლოეს მომავალში შემცირდება და შეწყდება როგორც ეს აღმოსავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყნაში მოხდა. ბმა არ უნდა იყოს დამოკიდებული შემოსავლების ამ წყაროზე გრძელვადიან პერსპექტივაში. მთავრობის ამოცანას წარმოადგენს მდგრადი ბმა-ების ჩამოყალიბება, რომლებიც გარკვეულ მომენტში შეძლებენ საკუთარი ქონების ექსპლუატაციას და მოვლა-პატრონობას თავიანთი რესურსებით და შემოსავლების მიღებაზე ორიენტირებული პროექტების მეშვეობით. მდგრადობის მიღწევა სიამაყეს იწვევს. რაც უფრო მეტად იფიქრებენ ამაზე და თავის მომავალში ინვესტირებაზე მბა-ები, მით უფრო წარმატებულნი იქნებიან.

კომუნიკაცია

კომუნიკაცია ბმა-ის წევრების ჩართულობის უზრუნველყოფის ერთერთი ყველაზე ძლიერი მექანიზმია. ბმა-ის საქმიანობა სასურველ შედეგებს გამოიღებს იმ შემთხვევაში, თუ ბინათმესაკუთრეები ინფორმირებულნი და მოტივირებულნი არიან და საკმარისი ინფორმაცია გააჩნიათ შეთავაზებული საქმიანობის საჭიროებაზე. ბინათმესაკუთრეთა მოტივაციის მიღწევა შესაძლებელია ზუსტი და რეგულარული კომინიკაციის მეშვეობით. ეფექტური კომუნიკაცია ხელს უწყობს ბმა-ის საქმიანობის გამჭირვალეობის უზრუნველყოფას, რაც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ბმა-ის მმართველი ჯგუფის და ბინათმესაკუთრეთა შორის ნდობის ჩამოყალიბებისათვის.

მნიშვნელოვანია, რომ ბმა-ის გამგეობამ ან ბმა-ის სპეციალურმა კომიტეტმა შეიმუშავოს და განიხილოს საკომუნიკაციო სტრატეგია მბა-ის

ბინათმესაკუთრეებისათვის. ზემოაღნიშნული სტრატეგიის განვითარება მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, ბინათმესაკუთრეებს უფლება აქვთ ინფორმირებულნი იყვნენ გადაწყვეტილებებზე,რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ მათ საცხოვრებელ ადგილზე და პირობებზე. ამას გარდა, ამომწურავი ინფორმაცია მიმდინარე და დაგეგმილ საქმიანობაზე დაეხმარება ადგილობრივ მაცხოვრებლებს გააზრებული გადაწყვეტილებების მიღებაში და იმ პრობლემების არიდებაში, რომლებიც ხშირია საკმარისი ინფორმაციის არქონის შემთხვევაში. დაბოლოს, სათანადოდ დაგეგმილი საკომუნიკაციო სტრატეგია სწავლების მნიშვნელოვანი ნაწილია ბმა-ის მომავალში არჩეული წარმომადგენლებისათვის.

ბმა-ის მმართველმა ჯგუფმა უნდა განავითაროს ფოკუსირებული და ეფექტური საკომუნიკაციო სტრატეგია ადგილობრივი მაცხოვრებლების მონაწილეობის წახალისების მიზნით. სათანადოდ შემუშავებული საკომუნიკაციო სტრატეგია მოითხოვს შემდეგი პირნციპების გათვალისწინებას ბმა-ის მმართველი ჯგუფის მიერ:

- <u>დროული კომუნიკაცია</u>. აუცილებელია ადგილობრივი მაცხოვრებლების ადრეულ ეტაპზე ინფორმირება დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით.
- <u>კეთილსინდისიერი კომუნიკაცია</u>. ღია და კეთილსინდისიერი კომუნიკაცია ადგილობრივ მაცხოვრებლებთან მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს მათი უფრო აქტიური ჩართულობის უზრუნველსაყოფის მიზნით.
- <u>ამომწურავი კომუნიკაცია</u>. ადგილობრივ მოსახლეობას წარუდგინეთ რაც შეიძლება ამომწურავი ინფორმაცია, რათა მათ სრული წარმოდგენა ჰქონდეთ მიმდინარე საქმიანობაზე.
- <u>პოზიტიური კომუნიკაცია</u>. პროექტის ან საქმიანობის ხარჯების და უპირატესობების წარმოდგენა ობიექტურად და პოზიტიურად უნდა მოხდეს იმისათვის, რომ მოხდეს ბინათმესაკუთრეების წახალისება მათ მიერ იმ მოსაზრებების გამოხატვის თვალსაზრისით, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყონ პროცესის გაუმჯობესებას.

  ბმა-ის კომუნიკაციის მექანიზმების მაგალითები:

- <u>წინადადებების ყუთი</u>. ბმა-ის მმართველმა ჯგუფმა შეიძლება განათავსოს წინადადებების ყუთი მბა-ის ოფისში, რათა წაახალისოს ბინათმესაკუთრეები წინადადებების და შენიშვნების წარდგენის კუთხით. ბმა-ის მმართველმა ჯგუფმა უნდა განიხილოს ყველა შემოსული წინადადება.

- ⇨ <u>კმაყოფილების დონის დადგენის გამოკითხვა</u>. ბმა-ის მმართველმა ჯგუფმა შეიძლება პერიოდულად ჩაატაროს ბინათმესაკუთრეთა მოკლე გამოკითხვა, რათა შეაფასოს გაწეული მომსახურების ხარისხი. გამოკითხვაში შეტანილი უნდა იქნეს ღია ტიპის კითხვები, რათა რესპონდენტებმა შეძლონ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით წინადადებების წარდგენა.
- ⇨ <u>ღია ფორუმი. პროცესში</u> ბინათმესაკუთრეების ჩართულობის დონის გასაუმჯობესებლად ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს მათთან არაფორმალური შეხვედრების გამართვა, სადაც მოხდება პრობლემების ღიად განხილვა და კითხვების დასმა.
- ⇨ <u>სამუშაო საათები.</u> ბმა-ის თავმჯდომარემ უნდა დააწესოს რეგულარული სამუშაო საათები და მან დრო უნდა გამოყოს ტექნიკური მომსახურების და სხვა საკითხების განსახილველად.ინფორმაცია სამუშაო საათების შესახებ მითითებული უნდა იყოს მისი ოფისის გარეთ განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე.
- ⇨ <u>საინფორმაციო ბიულეტენი</u>. რეკომენდირებულია ბმა-ის ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება დაგეგმილი და მიმდინარე საქმიანობის შესახებ ადგილობრივი მაცხოვრებლების ინფორმაციის მიზნით. ბიულეტენში კითხვა-პასუხების მიმოხილვა უნდა გაკეთდეს, რაც საშუალებას მოგცემთ გაავრცელოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა აინტერესებს და აწუხებს ადგილობრივ მაცხოვრებელს.

ანგარიშვალდებულება და გამჭირვალობა

ბმა-ის გამგეობა ვალდებულია ბმა-ს რეგულარულად წარუდგინოს ანგარიშები ყველა პროექტის საქმიანობის განხორციელების შესახებ, სამუშაოების შესრულების მსვლელობის ანგარიშის, ფინანსური ანგარიშების და საგადასახადო ვალდებულებების შესახებ მონაცემების ფორმით ბმა-ის საქმიანობის გამჭირვალეობის და ბინათმესაკუთრეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით.

